ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 12 აპრილი, 2019 №86 (8040) ფასი: 60 თეთრი

ქუთაისში ჩანთაში ჩადებული ქალის დანაწევრებული გვამი აღმოაჩინეს




გვ.7

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ოქროს ბიბლიოთეკა

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# ლევან ხაბეიშვილი: „კახა კალაძე გადმოვიბირე“





გვ.2

„ივანიშვილსა და მის გუნდს დენდროლოგიურ პარკში მოუწევთ სეირნობა“



## „ივანიშვილმა თავისი ხვალინდელი დღე დღეს ნახა“



გვ.3

## ივანიშვილი შაქარიშვილმა და ჯიშკარიანმაც უარყვეს

სოლოლაკის სასახლესთან მასშტაბური აქცია გაიმართა



გვ.3

## მამუკა გამყრელიძე: „მეგონა, „ოცნება“ ვადამდელ არჩევნებს დანიშნავდა“



გვ.3



## „ვერ გავიგე, ივანიშვილს რისი თქმა უნდოდა“

გვ.4

## გიორგი გაჩეჩილაძე: „2008 წელს ნაციონალებმა სახელმწიფო ღალატი ჩაიდინეს“



გვ.5

### სამართალი

გვ.7



## ცხენისა და ვირის ხორცის რეალიზაციის ფაქტზე 2 პირი ამხილეს



## ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის საჩივრის განხილვაზე სასამართლომ უარი უთხრა



## სასამართლოზე იაგო ხვიჩიას ... 

### ეკონომიკა

გვ.6

## რატომ ჩავარდა ბაყაყების ბიზნესი



## ივანე მაჭავარიანი: „მსოფლიო ბანკი მთავრობის მიერ ინიცირებულ განათლების რეფორმას მიესალმება“



## 1-ლი მაისიდან თამბაქოს ბიზნესისთვის ახალი ვალდებულება ამოქმედდება



ISSN 1987-9385

4 კორნელი კაკაჩია: „დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ 2020 წელს ცდუნებას არ აჰყვეს“

6 5 ქვეყანა, საიდანაც ყველაზე მეტი ქართველი გამოადეპორტეს

5 აშშ-ირანის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიასაც გადმოსწვდება

7 ტერორიზმის ბრალდებით თურქეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

# ლევან ხაბეიშვილი: „კახა კალაძე გადმოვიბირე“

## „ივანიშვილსა და მის გუნდს დენდროლოგიურ პარკში მოუწევთ სეირნობა“

შორენა მარსაგიშვილი



საპენსიო სააგენტო, რომელიც, მეოცნებეთა მტკიცებით, ჩვენთვის უზრუნველი სიბერის უზრუნველსაყოფად შეიქმნა, ჯერ მხოლოდ საკუთარ კომფორტზე ზრუნავს. სააგენტოს ხელმძღვანელს ანუ ჩვენი ბედნიერი სიბერის გარანტს თვეში 15.000-ლარიანი ხელფასი დაუნიშნეს.

იმისთვის, რომ 30 წლის შემდეგ ქართველმა პენსიონერებმა ბედნიერად იჟღურტულონ, საპენსიო სააგენტოში კარგი ავეჯი უნდა ჰქონდეთ. დედაქალაქის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატის, ლევან ხაბეიშვილის, განცხადებით, სააგენტო მარტო ავეჯის შესაძენად 62.000 ლარის დახარჯვას აპირებს.

რატომ იწვევს უნდობლობას საპენსიო სააგენტო, რისი ლიმიტი ამოწურა ივანიშვილმა, რის გაკეთებას ველარ გაბედავს ხელისუფლება 2020 წელს? – ამის შესახებ ლევან ხაბეიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ლევან ხაბეიშვილი:**

– საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი უწყება – საპენსიო სააგენტო – მხოლოდ ავეჯის შესაძენად 62.000-მდე ლარის დახარჯვას აპირებს. სააგენტო გეგმავს ტენდერით შეიძინოს 7 რბილი დივანი, ნაჭრის ან ტყავის ზედაპირით. 7.200 ლარად კაბინეტის მაგიდების ყიდვას აპირებენ. ჟურნალის მაგიდასა და კარადებში 20.000 ლარს გადაიხდის.

საპენსიო სააგენტომ ავეჯის შესაძენად 4 ტენდერი უკვე გამოაცხადა, თუმცა მანამდე ათიათასობით ლარის შესყიდვები უტენდეროდაც განახორციელა. როგორც ჩანს, სააგენტოს ხელმძღვანელებმა, 15.000-ლარიან ხელფასთან ერთად, ოფისის მოწყობაც ფუფუნების საგნებით გადაწყვიტეს.

განსაკუთრებულ პირობებს უქმნიან იმ სააგენტოს, რომლის კეთილსინდისიერებისაც არავის სჯერა საქართველოში. ძალიან კარგად ახსოვს ჩვენს მოსახლეობას, როგორ შეჭამა რამდენიმე ადამიანმა მათი ანაბრები. ანაბრების შეჭმაში ერთ-ერთი მხილებული, ვანო ჩხარტიშვილი, დღევანდელ ხელისუფლებაში დიდი გავლენებით სარგებლობს.

ჩხარტიშვილებისნაირებმა მოიფიქრეს ახლა ეს დაგროვებითი პენსია. ახლა ამ გზით აპირებენ ფულის მითვისებას. ადამიანებს, რომლებსაც შემოსავალს უკავებენ, ეუბნებიან, რომ ისინი ამ დანამატს 30 წლის მერე მიიღებენ.

როცა დაინახეს, რომ კაციშვილს ჩხარტიშვილის მეგობარი ხელისუფლების მიმართ ნდობა არა აქვს, ახალი რაღაც მოიფიქრეს, გვითხრეს, ჩვენ რადგან არ გვენდობით, უცხოელ ექსპერტებს ჩამოვიყვანთ და ისინი იმუშავებენო.

ხელისუფლების განმარტებით, რამდენიმე უცხოელი ექსპერტი საქართველოში წელიწადში სულ ოთხჯერ ჩამოვა. გასამრჯელოს სახით მათ წელიწადში 800.000 ლარი უნდა გადავუხადოთ.

***– ექსპერტები კიდევ გავიგე, მაგრამ ასე უცბად რატომ მოისურვეს ახალი ავეჯის შეძენა?***

– ბიჭები ჩვენ საკეთილდღეოდ მუშაობენ და კომფორტი არ უნდათ? მაგათ, ეტყობა, საქართველოს მოსახლეობა ლენჩი ჰგონიათ. გვართმევენ ამ თანხებს და გვარწმუნებენ, რომ ამით 30 წლის შემდეგ ვისარგებლებთ.

ხელისუფლება იმას ვერ გვეუბნება, ხვალ რა იქნება და 30 წლის მერე კარგ ცხოვრებას რანაირად გვპირდება, არ მესმის.

საპენსიო სააგენტო სხვა არაფერია, თუ არა ფულების შესაგროვებელი შავი ხვრელი. ამ ფულებს ივანიშვილი გამოიყენებს. სააგენტო შექმნეს, დაბეგვრა დაიწყეს, მაგრამ იმას ვერ გვეუბნებიან, თუ სად ჩადებენ ამ ფულს. არ გამოვრიცხავ, პირდაპირ ოლიგარქის შუშის სასახლეში წაიღონ შესანახად.

გარდა იმისა, რომ ჩვენ ანაბრების შეჭმის მწარე გამოცდილება გვაქვს, არსებობს კიდევ რამდენიმე მიზეზი, რატომაც საპენსიო სააგენტოს არ ვენდობით. თქვენ ვერ დამისახელებთ სფეროს, სადაც ჩავარდნა არ იყოს. ამ ქვეყანაში არაფერი მუშაობს და არც ეს სააგენტო იმუშავებს. ხალხი ვერ მიიღებს სარგებელს, თორემ ვიღაცები დამატებით მილიონებს მიიღებენ.

ამ სააგენტოს შექმნით ხელისუფლებამ ოფიციალურად დაიწყო ხალხის დაყაჩაღება. ამას ხალხი ჯერ ითმენს, მაგრამ სულ ასე არ გაგრძელდება.

***– ამ სააგენტოთი მართლაც ხალხის დაყაჩაღება ხდება, მაგრამ საზოგადოება ხმას არ იღებს. თქვენ კი ამბობთ, რომ სულ ასე არ იქნება, მაგრამ, აქამდე თუ მოითმინეს, იქნება მომავალშიც მოთმინების რეჟიმში დარჩნენ.***

– ყველაფრის მოთმენა შეუძლებელია. მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი. აქამდე იმიტომ ითმენდნენ, რომ ხელისუფლებამ ხალხში ნიჰილიზმი დათესა. დღეს ხალხს რომ დაელაპარაკო, გეტყვიან, რომ პოლიტიკა არ აინტერესებთ. ამ დროს ვერ ხვდებიან, რომ ყველაფერი პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

იმდენი ილაპარაკეს 9 წელსა და სისხლისმსმელ ნაცებზე, რომ ხალხს გენეტიკური კოდივით ჩაუდეს თავში – პოლიტიკა არ უნდა აინტერესებდეთ.

ეს კოდი ხალხის გონებიდან ნელ-ნელა გამოდის და ამის კარგი მაგალითი შარშანდელი საპრეზიდენტო არჩევნებია, სადაც თითქმის მილიონი ხმა ავიღეთ.

ივანიშვილის ხელისუფლებამ შეგნებულად გაალატაკა ქვეყნის მოსახლეობა. ოლიგარქმა მშვენივრად იცის, რომ ადამიანებს როცა შიათ, მათ არც პოლიტიკა აინტერესებთ და არც ღირებულებებზე ფიქრობენ. მათთვის მთავარი საზრუნავი პურის ფულის შოვნაა.

მაძღარ ადამიანს ეს საზრუნავი აღარ აქვს. ის უკვე ბევრს ფიქრობს ღირებულებებზე. ივანიშვილს ასეთი ადამიანები არ აწყობს. მას ყველაზე მეტად წარმატებული ადამიანების ეშინია.

ამიტომაც არის, რომ ქვეყანას ისეთი ინტელექტის ადამიანები მართავენ, როგორებიცა არიან კობახიძე და ბახტაძე. პარლამენტის წევრების ინტელექტზე არაფერს ვამბობ – წითელ და მწვანე ფერს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ.

ნიჰილიზმი, რომელიც დღეს ხალხშია, ივანიშვილმა დათესა, მაგრამ ის ნელ-ნელა ქრება. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამ მხრივ ძალიან დიდი მოვლენა იყო.

**განსაკუთრებულ პირობებს უქმნიან იმ სააგენტოს, რომლის კეთილსინდისიერებისაც არავის სჯერა საქართველოში. ძალიან კარგად ახსოვს ჩვენს მოსახლეობას, როგორ შეჭამა რამდენიმე ადამიანმა მათი ანაბრები. ანაბრების შეჭმაში ერთ-ერთი მხილებული, ვანო ჩხარტიშვილი, დღევანდელ ხელისუფლებაში დიდი გავლენებით სარგებლობს.**

ეს არჩევნები კიდევ სხვა რამითაც არის მნიშვნელოვანი – ეს არჩევნები ოლიგარქმა წააგო, მაგრამ გააყალბა და ახლა ამისთვის პოლიტიკურ ფასს იხდის.

***– პოლიტიკური ფასის გადახდაში რას გულისხმობთ?***

– ივანიშვილს იმის გაკეთება 2020 წელს შეეძლო, რაც შარშან გააკეთა, მაგრამ ეს გზა შარშან აირჩია და მისი გამეორების უფლებას აღარ მისცემენ – მას არჩევნებს აღარ გააყალბებინებენ. ამას არც დასავლეთი დაუშვებს და არც საქართველოს მოქალაქეები.

შარშანდელთან დაკავშირებით დასავლეთი, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები და ხალხი შეთანხმდა, რომ ეს არჩევნები არ ყოფილა.

ვნახეთ, რა დღეში ჩააგდეს ევროსაბჭოში საქართველოს პრემიერი. ეს იყო ჩვენი – ოპოზიციისა და ხალხის ბრძოლის შედეგი. „ოცნების“ ლიდერი პოლიტიკურ ფასს იხდის და მას მალე მშვიდობიანად მოუწევს ხელისუფლების დათმობა.

გამუდმებით იმაზე იყო ლაპარაკი, რომ ჩვენ არეულობას ვაპირებდით, მაგრამ ნახეთ, რა მოხდა, არჩევნები თავზე დაგვახიეს და ქუჩაშიც კი არ გამოვსულვართ.

***– ისე, ქუჩაში რატომ არ გამოხვედით?***

– იმიტომ არ გამოვედით, რომ ხალხს ამის მზაობა არ ჰქონდა. როცა ვნახეთ, რომ ხალხი ამისთვის მზად არ იყო, გავჩერდით. არც ფული გადაგვიხდია ვინმესთვის ქუჩაში გამოსასვლელად და არც ხალხის მტრებს შევეკარით. ბრძოლის სხვა ფორმა ავირჩიეთ, გავაგებინეთ ყველას, რაც მოხდა და ახლა „ოცნება“ პოლიტიკურ ფასს იხდის.

ჩვენგან მტრის ხატის შექმნა აღარ გამოუვათ. რამდენიც არ უნდა იძახონ, რომ ხაბეიშვილი, ზალიკო უდუმაშვილი ან ხატია დეკანოიძე მკვლელები არიან, ხალხი აღარ დაიჯერებს.

***– თქვენზე არ დაიჯერებენ, რომ მკვლელები ხართ, დანარჩენებზე?***

– აღარც დანარჩენებზე. ხალხი მიხვდა, რომ ამ თემაზე მხოლოდ იმიტომ საუბრობენ, რომ მომავალი არა აქვთ. ხომ არ შეიძლება, ქვეყანა გააჩერო და მხოლოდ წარსულზე ილაპარაკო. ერთი და ორი წელი კიდევ გასაგებია, მაგრამ მეშვიდე წელი მიდის, რაც მხოლოდ 9 წელზე ლაპარაკობენ. იმაზე ხმას არ იღებენ, რომ აწყობილი ქვეყანა ამოაყირავეს.





***– ალბათ ამიტომაც დადგეს სიმბოლურად ამოყირავებული მანქანები. ხალხი ამას უარყოფითად შეხვდა. თქვენ შეიძლება მოგწონთ „ოცნების“ კრეატივი.***

– რა სისულელეა. ეს საშინელება როგორ უნდა მომეწონოს. ხალხი ამდენი კრიმინალითა და მკვლელობებით ისედაც დაზაფრულია და კიდევ ეს საშინელება უნდოდათ?

ამოტრიალებული მანქანების ძეგლებად დადგმა რა საჭირო იყო, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხან სად ყირავდება, ხან სად. ამ ინტერვიუს ჩაწერამდე ცოტა ხნით ადრე კრწანისის ქუჩაზე ყვითელი ავტობუსი ხეს შეეჯახა. როგორც გაირკვა, მუხრუჭი იყო მწყობრიდან გამოსული.

რამდენიმე დღის წინ გამოვიდა კალაძე და თქვა, სირცხვილი ჩვენ, ესა და ეს პრობლემები რომ ვერ მოვაგვარეთო. მთელი ეს წლები მაგას არ ვიძახი, მაგრამ ამის პასუხად კალაძისგან მესმოდა 9 წელი და სისხლიანი ხაბეიშვილი.

***– ბოლო დროს ამას აღარ იძახიან და ლამის თქვენი მიმდევრები გახდნენ.***

– გადმოვიბირე (იცინის). ჯერ მხოლოდ ის აღიარეს, უსაქმურები რომ არიან. ბოლო სერიაში იმასაც იტყვიან, კორუმპირებულები ვართო და მორჩება. მეტს კი არაფერს ვამბობ.

კალაძის გარდა, „ოცნების“ ქმედებები მისმა მგზნებარე ადვოკატმა ვატო შაქარიშვილმაც დაგმო. მათ სხვებიც მიბაძავენ. ვატყობ, მალე მოუწევთ წასვლა.

***– სად მოუწევთ წასვლა?***

– სახლში. ზოგი ბურთს გააგორებს, ზოგი მანქანას ამოატრიალებს. მათ ლიდერს იმხელა დენდროლოგიური პარკი აქვს და იქ შეუძლიათ სეირნობა. ქვეყანას დაანებონ თავი და, რაც უნდათ, ის უქნიათ.

გარწმუნებთ, არც ხალხსა და არც ოპოზიციას მაგათთვის აღარ გვეცლება. ისე გააფუჭეს საქმე, რომ 24-საათიან რეჟიმში მოგვიწევს მუშაობა. თავადაც ხომ ატყობთ, ინტერვიუებს რომ წერთ – სულ უფრო და უფრო მძიმე ამბებზე გვიწევს საუბარი.

დაუყოვნებლივ თუ არ დავიწყეთ მუშაობა, ისე იცვლება სიტუაცია, ქვეყანა თავზე დაგვენგრევა.

***– თავზე დანგრევისა რა გითხრათ, მაგრამ მართლა ისე სწრაფად იცვლება ყველაფერი, შეიძლება, ძალიან მალე თქვენთან, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთან, ისე ჩავწერო ინტერვიუ.***

– არც ეგ არის გამორიცხული, მაგრამ ერთი რამე იცოდეთ, ივანიშვილი ასე იოლად არ დათმობს არაფერს. არჩევნებს აღარ გააყალბებინებენ, მაგრამ ყველაფერს იკადრებს, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. „ოცნება“ თუ დაექცევა, შეეცდება, სხვა ძალა მოიყვანოს ხელისუფლებაში. მე არ მჯერა იმის, რომ ადამიანები ერთ დღეს მიხვდნენ, რა ცუდია მმართველი პარტია და ახალი პარტია თუ მოძრაობა შექმნეს.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „მეგონა, „ოცნება“ ვადამდელ არჩევნებს დანიშნავდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***– ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუზე გაკეთდა შეფასებები, რომ ის აცდენილია რეალობას.***

– დიახ, აბსოლუტურად აცდენილია რეალობას. გამოდის და გვეუბნება, მადლობა უნდა მითხრათ, რამდენი რაღაც გაგიკეთეთო. რატომ მადლობას არ მეუბნებითო და თან გეუბნება, გამოთაყვანებული ხარო.

***– კვლავაც ნაციონალურ მოძრაობას მიიჩნევს საშიშ ძალად და მოსახლეობასაც ისე ნაცების მობრუნებით აშინებს. რამდენად გამოუვა ეს?***

– არ ვიცი, ეს რამდენად გამოუვა. მე უფრო მეშინია მოსყიდვისა და დაშინების. ხალხი ძალიან კარგად ხედავს ყველაფერს, რა არის და როგორ არის, ვინ არის დღეს საშიში და ვინ – საქმის გამკეთებელი. მთავარი უბედურება იმაშია, რომ გაჭირვებული ხალხის მართვა ძალიან ადვილია. ის ფიქრობს, რომ დღეს რომ მომცემენ 20-25 ლარს, ეს მირჩევნია.

***– ამდენი რეგულაცია, საბანკო, საფინანსო, ძალიან ბევრი ტაქსის მძღოლი მალე უმუშევარი დარჩება. ამ ყველაფერს მოითმენს ხალხი?***

– რამდენიმე საათის წინ რუსთაველზე ტაქსისტების პროტესტს შევესწარი და, მე თუ მკითხავთ, ეს მცირერიცხოვანი პროტესტი იყო. ძალიან ბევრი ტაქსი დადის დღეს ქუჩაში და იმ პროტესტს ეს არ ეტყობოდა.

ქართველები არ ვართ ერთ მუშტად შეკრული ხალხი. ეს გვახასიათებს საზოგადოდ. სამოქალაქო საზოგადოება, სამწუხაროდ, ჩვენ გვყავს ძალიან სუსტი, დაურაზმავი და შეუმდგარი. ამიტომაც გვიბედავს მთავრობა ამდენს.

***– რა იქნება 2020-თვის, თუ ასე გაგრძელდა? ან ეს უმრავლესობის დაშლა მიზანმიმართული პროცესი ხომ არ არის? ასეთი ვერსიაც არსებობს.***

– რა თქმა უნდა, არსებობს ასეთი ვერსია. ბატონ ბიძინას ტყუილების ლაპარაკი კარგად გამოსდის, მაგრამ, ეტყობა ხოლმე, როდესაც ვინმეზე გაბრაზებულია. როგორც ჩანს, ბესელიაზე ძალიან გაბრაზებულია, იმიტომ, რომ საათნახევრიანი ინტერვიუდან ნახევარი დაუთმო ბესელიაზე ლაპარაკს. იმდენად გაღიზიანებული იყო, რომ ამას ვერ მალავდა.

***– არ გაუკრიტიკებია სოციალ-დემოკრატები.***

– კი და ასევე განსაკუთრებით თბილად მოიხსენია მაღრაძე და მისი ახალი გაერთიანება. როგორც ჩანს, მას აქვს იმედი, რომ ეს ფსევდოოპოზიციური პარტიები რაღაცნაირად შეურბილებენ მას სიტუაციას.

არ ვიცი, როგორ წარიმართება პროცესები, მაინც მგონია, რომ ხალხში კიდევ უფრო დაგროვდება პროტესტის შეგრძნება. მე მაინც



მეგონა, რომ ვადამდელ არჩევნებს დანიშნავდნენ, იმიტომ, რომ რაც უფრო მალე იზამენ, მით უფრო ნაკლები იქნება პროტესტი. ეს რომ კიდევ გაიწელება 2020-მდე, წარმოიდგინეთ, რა იქნება. ცხადია, რომ სიტუაციის გაუმჯობესება არ იქნება. ეს რეალობაა. უფრო და უფრო გამძაფრებული სიტუაცია კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას გამოიწვევს.

ყველაზე უფრო საშიში არის ის, რომ ამ პირობებში ესენი დაიწყებენ აუცილებლად ქანჩების მოჭერას, სხვა გამოსავალი არ აქვთ. უკვე ჩანს ამის ნიშნები.

***– რა მიმართულებით?***

– ეს არის კრიმინალის ჩართვა, სუს-ის ზეწოლა. ეს არის ხალხის პირდაპირი დაშინება. აი ახლაც, ზუგდიდში, ექიმებთან გვქონდა საუბარი, მოხვალთ თუ არა შეხვედრაზე ოპოზიციურ კანდიდატთან. ძალიან ბევრმა ექიმმა გვითხრა, რომ კი, ჩვენ მხარს გიჭერთ, თქვენი მომხრეები ვართ, მაგრამ ვერ გამოვჩნდებით, იმიტომ, რომ დავკარგავთ სამსახურსო.

***– რისი თქმა გსურთ, რომ შეშინებულიც ბევრი ჰყავთ?***

– ექიმზეა ლაპარაკი, აქ არ არის ლაპარაკი უბრალო ადამიანზე, რომლის შეშინებაც და დამცირებაც ადვილია. ახლა გახდა ყველა მეგრელი, ახლა გაახსენდათ ზვიად გამსახურდია და უცებ მისი მომხრე რომ გახდა ყველა, სირცხვილია უბრალოდ. არ რცხვენიათ მაინც? ჩვენ ხომ ყველაფერი გვახსოვს, არა?!

***– თუკი წავიდა შანტაჟი, დაშინება, ჩაერთო უშიშროება და კრიმინალი, ამით რას მივიღებთ, ისევ „ოცნება“ დარჩება ხელისუფლებაში თუ სიტუაცია უმართავი გახდება?***

– მე ძალიან მეშინია სწორედ გამძაფრებული სიტუაციის. ყველაზე საშიში ეს იქნება. შეიძლება, ცოტა ხანს მოუჭირონ ქანჩები, მაგრამ მერე ერთბაშად აფეთქდება. სულ მცირე ნაპერწკალი სჭირდება ამას.

# ივანიშვილი შაქარიშვილმა და ჯიშკარიანმაც უარყვეს

## ვინ იქნება შემდეგი

შორენა მარსაგიშვილი

სამყაროში ცუდი ამბები ერთმანეთს მიეწყო – „ბარსელონას“ მესი გაებზარა, ივანიშვილს „ოცნება“. კვირა ისე არ გავა, მმართველ პარტიაში გაჩენილი ბზარიდან ვინმე არ ჩამოვარდეს. ამ კვირაში „ოცნების“ ბუდიდან ერთბაშად ორი ბარტყი გადმოვარდა. ორივე მათგანი უახლოეს წარსულში ბიძინა ივანიშვილის მადიდებელი იყო.

დედაქალაქის საკრებულოს ორმა დეპუტატმა – ჯაბა ჯიშკარიანმა და ვახტანგ შაქარიშვილმა – „ოცნება“ გუშინ, 11 აპრილს, უარყო. შაქარაშვილისგან ეს მოსალოდნელი იყო. ამ ახალგაზრდამ რამდენიმე კვირის წინ გვამცნო, რომ მოსამართლეების გამო პარტიას დატოვებდა.

განსხვავებული სიტუაცია იყო ჯიშკარიანის შემთხვევაში. ის საერთოდ არაფერზე რეაგირებდა, იმდენად კარგად ხუჭავდა „ოცნების“ ქმედებებზე თვალებს, რომ მმართველი პარტია მთაწმინდაზე მაჟორიტარად მისი კანდიდატურის დაყენებას აპირებდა.

მერე რაღაც მოხდა და „ოცნებამ“ ჯიშკარიანს პროფესიით გინეკოლოგი ლადო კახაძე ამჯობინა. არ არის გამორიცხული, რომ საკრებულოს დეპუტატი ამის გამო იყოს გამწარებული.



„ოცნებიდან“ წასულებმა საგანგებო განცხადებაც გააკეთეს და მშობლიური პარტიის უარყოფა დიდ მურუსიძეობას დაუკავშირეს.

– სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში ჩვენ თვალს ვადევნებთ მორალური ფასეულობების გადახედვის უხეშ მცდელობას. ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია შავის თეთრად წარმოჩენა. მიუღებელია მურუსიძე-ჩინჩალაძე-ზარდიაშვილის სამართლიანობის მაგალითად გასაღება, მიუღებელია პრინციპული და ღირსეული ადამიანების, მრავალწლიანი და უთანასწორო ბრძოლის უშედეგოდ გამოცხადება, მათი დაკნინებისა და ნაცებად სახელდების მცდელობა. ეს ყველაფერი კრიტიკულ წინააღმდეგობაშია 2012 წლის იდეალებთან და იმ დაპირებებთან, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გაიცა. ამიტომ ვტოვებ „ქართულ ოცნებას, – განაცხადა ვახტანგ შაქარიშვილმა.

ჯაბა ჯიშკარიანის თქმით, გადაწყვეტილების მიღების მიზეზი მოსამართლეთა არჩევის წესთან დაკავშირებით პარლამენტში განვითარებული მოვლენები გახდა.

– დიდი ხნის განმავლობაში ვადევნებდით თვალს მოვლენებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტში მოსამართლეების არჩევის წესთან დაკავშირებით მიმდინარეობდა. ჩვენთვის შეურაცხმყოფელია დამოკიდებულება, რომ ლევან მურუსიძე არის გმირი და ჩვენ, ვინც მის წინააღმდეგ ვიბრძოდით, ნაციონალების წისქვილზე ვასხამთ წყალს, – აღნიშნა ჯაბა ჯიშკარიანმა.

ვახტანგ შაქარიშვილი და ჯაბა ჯიშკარიანი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ უერთდებიან.

მათმა ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ჭორები იმის შესახებ რომ „დაიცავი საქართველოს“ უკან ივანიშვილი დგას. შაქარიშვილი გოგა ხაინდრავას კადრია, ხაინდრავა კი – ივანიშვილის ერთგული ჯარისკაცი.

ამბობენ, რომ ეს ახალგაზრდები „დაიცავი საქართველოში“ სწორედ გოგა ხაინდრავას რჩევით წავიდნენ.

„ქართულ ოცნებაში“ მათ წასვლას მშვიდად შეხვდნენ. დედაქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ამბობენ, რომ ქვეყანა არ დაქცეულა.

კახა კალაძის თქმით, მას ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯაბა ჯიშკარიანი და ვატო შაქარიშვილი საკრებულოს უმრავლესობიდან გასვლას გეგმავდნენ.

– ისინი რომ მიდიოდნენ, ვიცოდი მე ამასთან დაკავშირებით. ჩვენ 10 აპრილს გვქონდა შეხვედრა და მე მითხრეს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ეს მათი გადაწყვეტილებაა. ჩვენ, ყველა ადამიანი, ვართ თავისუფლები ჩვენს გადაწყვეტილებებში, ჩვენს არჩევანში და, შესაბამისად, მათ მიიღეს ეს გადაწყვეტილება, – განაცხადა თბილისის მერმა.

კალაძის მოსაზრებებს იზიარებს საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძეც.

ჯაბა ჯიშკარიანისა და ვატო შაქარიშვილის მიერ „ქართული ოცნების“ დატოვების საკითხს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანი გამოეხმაურა.

მისი განცხადებით, უმრავლესობის ყოფილი წევრების მიერ პარტიის დატოვების გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა.

– ჯაბა ჯიშკარიანი და ვატო შაქარიშვილი მომავალ პოლიტიკურ საქმიანობას სხვა ორგანიზაციას უკავშირებენ, რომელსაც თავისი დღის წესრიგი აქვს დაანონსებული და, აქედან გამომდინარე, მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ჩვენმა ყოფილმა თანაგუნდელებმა დააანონსეს შეერთება სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან და მათი პოზიცია ჩვენთვის ცნობილი იყო. ამ ადამიანებს დეკლარირებული აქვთ თავიანთი პოლიტიკური მიზნები და ამოცანები. ისინი საკრებულოს წევრები არიან და ცხადია, უკვე შეცვლილი სტატუსით გააგრძელებენ მუშაობას დედაქალაქთან დაკავშირებულ საკითხებზე, – განაცხადა დავითულიანმა.

# „ივანიშვილმა თავისი ხვალინდელი დღე დღეს ნახა“

## სოლოლაკის სასახლესთან მასშტაბური აქცია გაიმართა

შორენა მარსაგიშვილი

ლეიბორისტებმა და ტაქსისტებმა ხელისუფლებას დანაპირები აუსრულეს – მათ ივანიშვილის სასახლესთან მასშტაბური აქცია გამართეს. აქცია თბილისის მერიის ინიციატივის წინააღმდეგ გაიმართა.

ცოტა ხნის წინ თბილისის მერმა გვამცნო, რომ თბილისში მხოლოდ თეთრმა ტაქსებმა უნდა იარონ.

გუშინ, 11 აპრილის დილით, აქციამდე რამდენიმე საათით ადრე მერიამ ახალი ამბავი გვაუწყა.

თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილის თქმით, ტაქსის მძღოლებს მანქანების თეთრად გადაღებვის ვალდებულება აღარ ექნებათ.



ელოშვილის განცხადებით, მძღოლებს მანქანის გადაღების ნაცვლად შეეძლებათ, მასზე თეთრი ფერის ფირი გადააკრან:

– მათი განცხადებით, გადაღებვა იწვევს მანქანის ფასის დავარდნას, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ დათმობაზე წასვლა. თბილისი იმსახურებს, რომ ქალაქში დადიოდნენ მოწესრიგებული, თეთრი ფერის სუფთა ტაქსები. ამას იმსახურებს ჩვენი თითოეული მოქალაქე. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ეს არის ორმხრივი რეფორმა და 27.000 მძღოლს, რომლებმაც ლიცენზირება გაიარეს, მერიის მხრიდან გადაეცემა უფასო საპარკინგე ადგილები, მანათობელი ნიშნები, ღებვისა და ქიმწმენდის ვაუჩერები რეკლამის სანაცვლოდ, შემოსავლის წყარო უფასო რეკლამის სახით, ასევე გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადებისაგან. ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის, – განაცხადა ილია ელოშვილმა.



მერიაში ალბათ ეგონათ, რომ ამ განცხადების შემდეგ აქცია გადაიდებოდა. ლეობორისტებმა და ტაქსისტებმა მაინც გამართეს აქცია. ივანიშვილის სახლთან მათ გაძლიერებული დაცვა დახვდათ.

ტაქსის მძღოლები ამბობენ რომ ისინი თავიანთ უფლებებს იცავენ. ისინი ამბობენ, რომ მერიამ დაწესებული რეგულაციები 2 წლით უნდა გადაავადოს.

– გადაავადონ რეგულაციები და დაგვაცადონ ის ორი წელი. ჯიბეში რატომ მიხტებიან. ბიზნესცენტრები აქვთ აშენებული, ბიზნესები აქვთ, წილები აქვთ და გაჭირვებულ ხალხს არ უყურებენ ესენი. ბიძინამ აირიდა, ჩააბარა პოლიტიკა. გინდათ პოლიტიკაში მოსვლა? ხო ჩააბარა?! რას აკეთებენ? ხალხს ჯიბეში გვიხტებიან.

დღეს „გაგვაკრასკინეს“, ხვალ „სოჩიკს“ ჩაგვიყენებენ მანქანაში და საფინანსოს შეტანას მოგვთხოვენ. რით ვიცხოვროთ, რით ვიარსებოთ? ერთმა ადამიანმა რამდენი გავაკეთო, 6 ადამიანი ვარჩინო თუ მთავრობას შევუტანო ფული? შეგვეშვან ამ გაჭირვებულ ხალხს, – განუცხადა ნიუპოსტს აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

აქციაზე განცხადება ქვეყნის მთავარმა ლეიბორისტმაც გააკეთა.

– ივანიშვილმა დღეს ნახა თავისი ხვალინდელი დღე. თუ არ წაიღო ეს გადაწყვეტილება უკან ტაქსების გადაღებაზე, ის გადაიღებება იმ დონეზე, რომ არავითარი არაგვი არ გარეცხავს მთელი თავისი მთავრობიანად. ამიტომ ჩვენ მივცემთ მათ ულტიმატუმს დღეს, რომ შეცვალონ გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევაში მივიღებთ გადაწყვეტილებას პარლამენტის წინ უვადო მდგომარე პერმანენტული აქციის დაწყებაზე, დავუძახებთ მთელ საქართველოს პარლამენტთან და მერე დაგვიდგნენ წინ, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.



# „ვერ გავიგე, ივანიშვილს რისი თქმა უნდოდა“

## მილიარდერის ინტერვიუმ ვახტანგ ძაბირაძე დააბნია

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, „ქართული ოცნება“ ჯაბა ჯიშკარიანმა და ვატო შაქარიშვილმა დატოვეს. დეპუტატები რომან კაკულია და ლევან კობერიძეც ტოვებენ პარტიას. ეს პროცესი გაგრძელდება?***

– სრულიად აშკარაა, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. ზოგი ამას ხმამაღლა გააკეთებს, ზოგი შეეცდება, პრობლემა კულუარული გზებით მოაგვაროს, ანუ რაღაცის მიღებას შეეცდება ან სიაში მომავალი ადგილის გარანტიებს მიიღებს. თუმცა, პროცესები იქამდე არ მივა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო უმრავლესობა დაკარგოს.

ყველანაირად შეეცდებიან, რომ არჩევნებამდე უმრავლესობა, ანუ 76 მანდატი შეინარჩუნონ. აღმასრულებელ ხელისუფლებას არჩევნებამდე გააკონტროლებენ, მაგრამ, მერე რა იქნება, ვერ გეტყვით, რთული სათქმელია, იმდენად რთულად ვითარდება მოვლენები.

***– ივანიშვილი აკონტროლებს პროცესებს? მისი გამოსვლიდან ახალი რა გაიგეთ?***

– თუ სიახლესა და მოულოდნელობაზეა საუბარი, სიმართლე გითხრათ, ყველაზე დიდი მოულოდნელობა და სიახლე იყო, კინოწარმოებას რომ იწყებს და რომ ყველაზე დიდი ჩავარდნა თურმე აქ გვქონია.

კინოწარმოებაში ცუდი არაფერია, პირიქით, კარგია, მაგრამ ახლა, ამ ვითარებაში?! დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებიდან ეს განცხადება სრულიად ამოვარდნილია. არა მხოლოდ მოულოდნელი იყო,



არამედ გასაოცარიც კი იყო ამაზე საუბარი.

მეორე სიახლე იყო ემიგრანტებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება, რომელიც სააკაშვილის ემიგრანტებთან შეხვედრებს ებმის და ეს ამ თემის გაგრძელებაა. ეს უფრო პიარის ნაწილია, ვიდრე რეალობასთან ახლოს მყოფი ამბავი.

საკმაოდ გაოცებული და დაბნეულიც კი ვარ მისი ბოლო ინტერვიუდან გამომდინარე.

***– რატომ?***

– ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა. ხომ ცხადია, რომ ეს გამოსვლა ყველა დონეზე იყო მომზადებული! და ალბათ შედეგზეც უნდა ყოფილიყო გათვლილი. რა მიიღო აქედან ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“?! მე ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა და რა მიზანს ისახავდა ეს გამოსვლა.

***– ოპონენტები ხომ გააშავა? მაგალითად, შალვა შავგულიძე, რომელიც მთაწმინდაზე სერიოზულ ოპონენტად არის აღქმული.***

– აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ ამის გაკეთება სხვაგვარად ხომ შეიძლებოდა?! ვინ დაიჯერებს, რომ მურუსიძე გმირია და შალვა შავგულიძე – მოღალატე და ანტიგმირი?! ივანიშვილმა ეს გვითხრა, მაგრამ მისი არავინ დაიჯერა. ე.ი. რა გამოვიდა, ივანიშვილის არავის სჯერა. ამ შედეგზე იყო მისი გამოსვლა გათვლილი?! მეეჭვება.

***– მთაწმინდის არჩევნები, როგორც ჩანს, მართლაც აღელვებს, თან ერთგვარ ტესტადაც არის მიჩნეული.***

– შეუძლებელია, რომ არ აღელვებდეს. ყველა არჩევნები აღელვებს. თან ერთი წაგება, ხომ იცით, მერე უკვე რასაც ნიშნავს. „ქართულ ოცნებას“ დღეს იმის ფუფუნება არ აქვს, რომ რომელიმე არჩევნები რომელიმე დონეზე წააგოს.

***– საკმაოდ თავდაჯერებულმა თქვა, რომ 2020 წლის არჩევნების მოგება პრობლემა არ არის. მართლაც ასე ფიქრობს?***

– არა მგონია. სწორია პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით, ასე უნდა ეთქვა, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება არჩევნების მოგება. თუ ივანიშვილი ფიქრობს, რომ მას მეტი არაფერი აქვს სათქმელი, რაც ამ ინტერვიუში თქვა, მაშინ ძალიან ცუდად ყოფილა მათი საქმეც და ქვეყნის საქმეც, რადგან ახლა ისინი არიან ხელისუფლებაში. თუ მმართველი გუნდი ფიქრობს, რომ არაფერი არ არის შესაცვლელი, მეტიც, ვერ ხედავს საკუთარ თავში ძალას, შესაძლებლობებს, რომ შეცვალოს, ძალიან ცუდად ყოფილა საქმე.

საზოგადოების პოლარიზება ხდება. ხალხი ორად არის გახლეჩილი, თან ამას ემატება უიმედობა, რაც ძალიან დიდი პრობლემაა. ამას საითკენ მივყავართ, ყველამ კარგად იცის, რადგან არაერთხელ გამოიარა ჩვენმა საზოგადოებამ ეს ყველაფერი. მე ეს ძალიან მაშფოთებს და მაფიქრებს.

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამ რეალობას მოაქვს არასტაბილური გარემო. ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება სტაბილურობის შენარჩუნება. თითქოს ეს ყველაფერი ნანახი გვაქვს, ამიტომ ამ ყველაფერს გაცნობიერება უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესები შეიძლება უმართავი გახდეს.

***– ოპოზიცია ამბობს, რომ არჩევნებამდე მშვიდად უნდა მივიდეთ.***

– დიახ, მაგრამ აქ თავს იჩენს მოსამართლეების თემაც. დღეს ჩვენს სასამართლოს ნდობა არ აქვს. თუ ოპოზიცია არჩევნების შედეგებს სასამართლოში გაასაჩივრებს, ხომ წარმოგიდგენიათ, მას რა მოჰყვება! შემდეგ ეს ყველაფერი საით შეიძლება წავიდეს, ხომ გასაგებია?! ეს ხომ არის ქართული პოლიტიკის მუდმივი თანმდევი რეალობა?! სტაბილურობის შენარჩუნებაა მთავარი, რაც ივანიშვილს ყველაზე მეტად უნდა აშფოთებდეს.

***– ის ასე მძიმედ არ ფიქრობს, დარწმუნებულია, რომ არჩევნებს მოიგებს.***

– ასეთი დარწმუნებული იყო საპრეზიდენტო არჩევნებზეც. ივანიშვილს ეგონა, მეტიც, დარწმუნებული იყო, რომ ადვილად მოიგებდა, მაგრამ პირველი ტურის შემდეგ, როდესაც სულ სხვა რეალობა დაიდო, ძალიანაც შეშინდა და ძალიან აღელვებულიც იყო. ამიტომ მოუწია მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. მერწმუნეთ, ეს ნაბიჯები არ იყო სიხარულით გადადგმული.

***– შეიძლება, ფიქრობს იმავეს გამეორებას.***

– იგივე უკვე შედეგს ვერ მოუტანს. თუ პროცესები ისე განვითარდა, როგორც ახლა მიდის, მაშინ ძალიან რთული იქნება მისი შემობრუნება. ძალიან გაუჭირდება ეს ივანიშვილს.

# კორნელი კაკაჩია: „დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ 2020 წელს ცდუნებას არ აჰყვეს“

## „აფგან მუხთარლის გატაცება და დაპატიმრება საქართველოსთან მიმართებით შავ ლაქად რჩება“

იაგო ნაცვლიშვილი

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე (PACE) საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე მოხსენებით გამოვიდა. მოხსენების შემდეგ მას ევროპარლამენტარების კითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდა. მათ შორის ჭარბობდა კრიტიკული კითხვები. ბახტაძეს ისეთ გახმაურებულ საქმეზეც დაუსვეს კითხვა, როგორიც საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცება და დაპატიმრებაა.

როგორ შეიძლება იყოს აღქმული პრემიერისთვის დასმული კითხვები და ხომ არ მიუახლოვდა საქართველოს ხელისუფლება წითელ ხაზებს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს:

***– PACE-ში გამოსვლის შემდეგ პრემიერს საკმაოდ კრიტიკული კითხვები დაუსვეს ევროპარლამენტარებმა. მივყვეთ თანმიმდევრობით. ჰიბრიდულ დემოკრატიაზე დასმულ კითხვაზე მოუწია თავის მართლება, რომ ეს ასე არ არის. როგორია თქვენი შეფასება?***

– გასაკვირი არ არის ჩვენი ევროპელი მეგობრებისგან, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები მიდიან მაღალი დონის ღონისძიებაზე ან სხვადასხვა ვიზიტების დროსაც ხშირად ისმის როგორც კრიტიკა, ასევე პოზიტიური გზავნილებიც. ბუნებრივია, რომ ამ კრიტიკაშიც იმის ინტერესია, რომ საქართველოში განვითარდეს დემოკრატიული პროცესები და უფრო წინ წაიწიოს ქვეყანამ. ამის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი იყო პრემიერ-მინისტრის შეხვედრა PACE-ში. სადაც მას დაუსვეს კრიტიკული შეკითხვები, მათ შორის იმაზეც, რომ ბოლო წლებია, საქართველო ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან ერთად ჰიბრიდული რეჟიმში ვართ, ამას ვერ გავცდით და ვერ გავხდით კონსოლიდირებული დემოკრატია. გამომდინარე იქიდან, რომ ერთ ნაბიჯს წინ რომ გადავდგამთ, მერე ორ ნაბიჯს უკან ვდგამთ ხოლმე.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ასე სწრაფად ეს სიტუაცია არ შეიცვლება. განსაკუთრებით ეს ეხება დემოკრატიულ პროცესებს ქვეყნის შიგნით. ეს გამოწვევა კვლავ რჩება, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას გააჩნია დიდი ამბიციები, მათ შორის ევროკავშირთან და ნატოსთან თვალსაზრისით. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, ჩვენი პარტნიორები ითხოვენ იმ სტანდარტებს, რომლებიც უნდა იყოს დამახასიათებელი ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების თვალსაზრისით.

***– პრემიერის პასუხები დამაჯერებლად მოგეჩვენათ?***

– სიმართლე გითხრათ, არ მომისმენია მისთვის. მე, უბრალოდ, პრესის საშუალებით გავეცანი. ისეთი შეკითხვები იყო, რომლებსაც, ბუნებრივია, გულწრფელად ვერ გასცემდა პასუხებს, ასე ვთქვათ, მისი მხრიდან პოლიტიკოსის პასუხები იყო, მათ შორის პოლარიზაციასა და სხვა პრობლემებზეც. თქვა, რომ პოლარიზაცია ბევრ სხვა ქვეყანაშიც არის.

***– ეს პასუხი გასცა არჩევნების დროს ძალადობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას და ეს პოლარიზებით ახსნა.***

– დიახ. პრემიერი ზოგადი პასუხებით შემოიფარგლა, იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან კითხვაზე პირდაპირ პასუხებს პოლიტიკოსები თავს არიდებენ. პრემიერს არ სურდა ამ დებატებში შესვლა. აქედან გამომდინარე, პასუხები ძირითადად ზოგადი იყო.

***– მნიშვნელოვანი კითხვა დაისვა არჩევნების მოსყიდვის კონტექსტში და დასახელებული იყო ვალების ჩამოწერა. ეს ის საკითხია, რომელზეც დისკუსია ქვეყნის შიგნითაც არ წყდება. ამაზე ისმის კითხვები საერთაშორისო ტრიბუნაზეც. იმიჯის თვალსაზრისით დამაზიანებელი ხომ არ იქნება?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. იქიდან გამომდინარე, რომ გვიახლოვდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც ბევრი რამე შეიძლება გადაწყვიტოს ქვეყნის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, არ განმეორდეს ის, რაც მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, განსაკუთრებით – მეორე ტურში, როდესაც ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, საკუთარი რესურსების მობილიზება გააკეთა, პლუს გამოიყენა ვალების ჩამოწერის სისტემა, რომელიც ეუთოს აღიარებით ძალიან ახლოს იყო იმ სქემასთან, რომელსაც ჰქვია ამომრჩევლის მოსყიდვა. ბუნებრივია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა ევროპაში, რომ არ მოხდეს მსგავსი მეთოდების გამოყენება საპარლამენტო არჩევნებში. ამ შემთხვევაში ამან შეიძლება სერიოზული ჩრდილი მიაყენოს ქართულ დემოკრატიას და შეიძლება სხვანაირად შემოტრიალდეს საქართველოს იმიჯი ზოგადად როგორც ევროპაში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში. ამიტომ არის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა გაფრთხილებას ახლავე იძლევა, რომ ხელისუფლება ცდუნებას არ აჰყვეს 2020 წელს, იმიტომ რომ, სავარაუდოდ, მაშინაც პოლარიზებული გარემო იქნება. აქედან გამომდინარე, არ მოხდეს გადახრა დემოკრატიის იმ ნორმებიდან, რომლებიც აუცილებელია, რომ ევროსაბჭოს ბევრმა ქვეყანამ დაიცვას.

***– არჩევნების თემაზე კიდევ ერთი კითხვა დასვა იმაზე, როგორ აპირებს ქვეყანა, გაუმკლავდეს ასეთ გამოწვევებს და როგორ ჩაატარებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს. ეს უნდა აღვიქვათ მხოლოდ შეკითხვად თუ ეს იყო გზავნილი, რომ წითელ ხაზებს მივუახლოვდით და ის არ გადავკვეთოთ?***

– ნაწილობრივ ასეც არის. იქიდან გამომდინარე, რომ თუ ბოლო არჩევნების შედეგებს გადავხედავთ, საერთაშორისო თანამეგობრობაშიც არ არის რამე აქ დამალული, რომ დღევანდელი ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ ცდილობს, გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა. ამით ისინი არ ერიდებიან არავითარ ხერხებს, მათ შორის იმას, რაც მოხდა არჩევნებში. ბუნებრივია, რომ აინტერესებთ ეს თემა.

ჩვენ არ ვიცით, ვინ მოიგებს 2020 წელს არჩევნებს, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წააგოს. ამაზეა აქცენტი გაკეთებული, რომ მოამზადონ ხელისუფლება, ისე, როგორც 2012 წელს სააკაშვილის ხელისუფლებას ეუბნებოდნენ, რომ თუ ხალხმა გადაწყვიტა ხელისუფლების გადარჩევა, მაშინ მას მოუწევს ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემა. ამაზეა ძირითადი აქცენტი, რომ ამას არ მოჰყვეს ის, რაც ხშირად ხდება ხოლმე სხვადასხვა ქვეყანაში. მთელი აქცენტი ამაზეა გაკეთებული, რომ არჩევნები ჩატარდეს მშვიდობიან გარემოში და ქართველმა ხალხმა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ის ემხრობა, შემდეგ



კი ხელისუფლებაში მოიყვანოს ის პარტია ან ჯგუფი, რომელსაც მხარს უჭერს.

***– კითხვა დაისვა აფგან მუხთარლის თემაზეც. ეს ნიშნავს, რომ ამ თემაზე უფრო მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი ჩვენი მხრიდან?***

– აფგან მუხთარლის საქმე დიდი ხანია დგას. ეს სერიოზული შეცდომაა, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა. დარწმუნებული ვარ, ნანობენ, მაგრამ ამის პასუხი არ აქვთ. მგონი, ყველამ იცის, რომ ის მოხდა, რაც არ უნდა მოხდეს დემოკრატიულ ქვეყანაში, როდესაც მოქალაქეს იტაცებენ. აქ დგება ეჭვი, იყო თუ არა ხელისუფლების სხვადასხვა შტო ამაში მონაწილე. თუ მონაწილე არ იყო და ხელი არ შეუწყვეს ამ პროცესს, მაშინ დაუდევრობას ხომ არ ჰქონდა ადგილი.

ევროსაბჭოს ქვეყნისათვის ასეთი რამე წარმოუდგენელია. ჩვენ გვაქვს გარკვეული ვალდებულებები აღებული. ჟურნალისტის გატაცება დღისით, მზისით და შემდეგ მისი დაპატიმრება, რა თქმა უნდა, შავ ლაქად რჩება საქართველოსთან მიმართებით. ბუნებრივია, რომ სანამ ამ ადამიანის ბედი არ გადაწყდება, მუდმივად იქნება განსჯის საგანი ევროპის სხვადასხვა დედაქალაქში.

***– ასევე კითხვა დაისვა LGBTI თემთან დაკავშირებით, როდესაც 2018 წელს ანტიჰომოფობიური აქციის გამართვის შესაძლებლობა არ მიეცათ. მოახლოებულია 17 მაისი. ეს ხომ არ ნიშნავს ხელისუფლებისადმი მოწოდებას, რომ უზრუნველყოს ის, რომ ადამიანებმა საკუთარი ნება გამოხატონ?***

– ნამდვილად არ ვიცი, რას აპირებს ხელისუფლება და რა პოზიციები აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ოფიციალური ინფორმაცია არ გვაქვს. ზოგადად ვიცით, რომ, ევროსტრუქტურების სხვადასხვა მოწოდების მიუხედავად, ხელისუფლება ვერ ახერხებს, უზრუნველყოს უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომ ამ კუთხით რაიმე გამონაკლისი იყოს, თუმცა, წინასწარ თქმა ძალიან რთულია.

***– პრემიერის არგუმენტი იყო, ანტიდისკრიმინაციული კანონი მივიღეთო. ეს დამაჯერებელი იყო?***

– ალბათ ეს ამ სფეროს სპეციალისტებმა უფრო უნდა შეაფასონ. თემის დეტალებში არ ვარ ჩახედული, ამიტომ სიღრმისეული კომენტარის გაკეთება გამიჭირდება.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „2008 წელს ნაციონალებმა სახელმწიფო ღალატი ჩაიდინეს“

გულიკო ბალაძე

რატომ უპირისპირდება პარლამენტის წევრი **გიორგი გაჩეჩილაძე** ნაციონალურ მოძრაობას? ამის შესახებ ის „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, ბოლო დროს ნაციონალურ მოძრაობას ძალიან აკრიტიკებთ და უტევთ პარლამენტის სხდომებზე. რატომ?***

– საუბარია გათავხედებულ ნაცმოძრაობაზე, რომელმაც მის მიერ ჩადენილი დანაშაულების არსებულ ხელისუფლებაზე გადაბრალება დაიწყო. ახლანდელი ხელისუფლება საზოგადოებამ იმიტომ აირჩია, რომ სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმი ჩამოეშორებინა სახელმწიფოსთვის. მედიის საშუალებით ნაცმოძრაობა თავისი დანაყოფებითა და არასამთავრობოებით საზოგადოებას თავზე მოექცა. ეს ძალიან ამაზრზენად გამოიყურება. ადამიანები ნაციონალებიდან გამოდიან და ამბობენ, სალომე ზურაბიშვილმა ოდესღაც თქვა, ომი სააკაშვილმა დაიწყოო. წინასაარჩევნო ბრალდება ასეთი იყო. ასე ხომ იყო.

***– კი, იყო, მაგრამ მისი განცხადებიდან...***

– კონტექსტიდან ამოგლეჯილად მოჰქონდათ მისი ნათქვამი. მაშინ სალომე ზურაბიშვილმა სხვა რამ თქვა. მთავარი ისაა, რომ ამას ამბობს ხალხი, რომელმაც მხარი დაუჭირა 2008 წლის 2 ოქტომბრის ევროსაბჭოს რეზოლუციას. 2008 წელს ხომ ნაციონალები იყვნენ ხელისუფლებაში. დელეგაცია, რომელიც იმყოფებოდა ევროსაბჭოში, მხარს უჭერს საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციას.

ეს ხდება ომიდან ორ თვეში, როდესაც ომი დამთავრებულია. სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის 6-პუნქტიანი შეთანხმება ხელმოწერილია, ანუ პროცესი გადადის მშვიდობიან ვითარებაში. ამ ფონზე ევროსაბჭოში ხდება რეზოლუციის მიღება და გაგიკვირდებათ, რას ტექსტს აძლევენ ხმას. ეს არის სახელმწიფო ღალატი.

***– კერძოდ, რატომ არის ღალატი?***

– ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალური რეზოლუციაა (№1633, 2008 წლის 2 ოქტომბერი). რეზოლუციის მე-5 პუნქტში წერია:

„2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლობით დაწყებით ესკალაცია ახალ, კერძო, ღია და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე გადავიდა“.

„მძიმე არტილერიისა და კასეტური ბომბების გამოყენება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო საზოგადოებას, წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან“.

***– თუმცა, რუსებსა და ოსებს ცხინვალიდან მშვიდობიანი მოსახლეობა გაყვანილი ჰყავდათ. ჩვენ ეს ხომ ვიცი? ცნობილია, რომ მოსახლეობა 1-2 კვირით ადრე გაიყვანეს.***

– დავამთავრებ ციტატას რეზოლუციიდან: „საქართველოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხდებოდა მისი ტერიტორიის ფარგლებში, როგორც ასეთი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევაა, კონფლიქტები გადაწყვიტონ მშვიდობიანი საშუალებებით“. ეს არის რეზოლუციის მეხუთე პუნქტი.

***– იგივე წერია ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც. როგორც ჩანს, ვერ დააჯერეს საერთაშორისო საზოგადოება, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები თუ არც უცდიათ, რომ დაეჯერებინათ განსხვავებულ ფაქტებში?***

– ამ ტექსტისთვის აქვთ ხმა მიცემული. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ თავისი დელეგაციის მეშვეობით მხარი დაუჭირა საქართველოს დადანაშაულებას.

***– ახლა რატომ იხსენებთ ამას?***

– პარლამენტის სხდომაზე გამოვიდნენ გიგა ბოკერია და ნაცმოძრაობის წარმომადგენელი და თქვეს, თქვენი არჩეული პრეზიდენტი ასეთ რაღაცებს ლაპარაკობდაო. საპასუხოდ მე ეს დოკუმენტი წარმოვადგინე, რომელზეც მათ ხელი აქვთ მოწერილი.

საქართველოს მხრიდან ამგვარი სახის დოკუმენტის მხარდაჭერა ღალატია. რაც რეზოლუციაში წერია, ხომ სიცრუეა? ეს არ არის სიმართლე, რადგან რუსეთის სამხედრო ძალები საქართველოში უკვე შემოსული იყვნენ. 2008 წლის 2-3 აგვისტოს ოფიციალური განცხადებებიც არსებობს, ვიდეომასალებიც არსებობს, რომ რუსეთის სამხედრო ძალები (ზოგი არაფორმალურად, ზოგი ფორმალურად) და ტექნიკა საქართველოში უკვე შემოდიოდა.

***– ეს ფაქტები რატომ ვერ დააჯერეს, რატომ ვერ აუხსნეს ნაციონალებმა იმავე ტალიავინის კომისიასა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, რომ ეს იყო ტყუილი?***

– იმიტომ, რომ რუსებს მისცეს საშუალება, თავი ემართლებინათ. გაიხსენეთ, გრიგოლ ვაშაძე როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, 2008 წლის 4-5 აგვისტოს რუსეთის სამხედრო ძალები რომ შემოდიოდნენ, ამბობდა, რუსები გაოგნებული არიან, კოკოითი რაებს აკეთებს, აქაურობას როგორ ურევს, რუსები არაფერში მონაწილეობენო.

სააკაშვილის გამოსვლები არ გახსოვთ? სააკაშვილი ამბობდა, რუსეთი ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დაძაბვაში არ მონაწილეობსო. ამას სააკაშვილი ამბობს მაშინ, როდესაც რუსები უკვე შემოსული არიან.

***– გაეროს უშიშროების საბჭოში ჩივილი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს რუსეთმა დაასწრო.***

– გაეროს წესდებით, თუ არის აგრესიის ფაქტი, გაეროს წევრი სახელმწიფო ვალდებულია, იმავე წუთში გაეროს უშიშროების საბჭოს აცნობოს, რომელიც ამგვარი ცნობის მიღებისთანავე მომენტალურად იკრიბება, ცდილობს, აგრესიის ფაქტი განიხილოს და პროცესი შეაჩეროს, რათა სრულმასშტაბიან დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს.

საქართველოს ხელისუფლება ამბობდა, რუსები არ მონაწილეობენო და შემოდიოდა და შემოდიოდა რუსების ცოცხალი ძალა და ტექნიკა. ამის თაობაზე გაეროში კი არ იჩივლეს. ვინ იჩივლა გაეროს უშიშროების საბჭოში? რუსეთმა.

როდესაც სააკაშვილმა საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ ოფიციალურად განაცხადა, საჩივრის შეტანა დაასწრო და რამდენიმე წუთში რუსეთმა განაცხადი შეიტანა უშიშროების საბჭოში.

***– ნაცმოძრაობა თუ გათავხედებულია, ვინ გაათავხედა? 190 პირი პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდა ციხიდან, რაზეც პარლამენტმა დადგენილება მიიღო. ამას რატომ არ მოჰყვა ნაცრეჟიმის პოლიტიკური შეფასება?***

– პარლამენტმა მიიღო დადგენილება, სადაც შეფასებული იყო წინა რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებები. წმინდა პოლიტიკური საკითხი იდგა. საქართველოს ისტორიაში ხელისუფლების არჩევნებით ცვლა პირველად მოხდა. ეს იყო ძალიან სერიოზული სიგნალი დემოკრატიისკენ მიმავალი სახელმწიფოს მშენებლობის. თუ გინდა ევროინტეგრაცია და ნატოში გაწევრიანება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.

***– ნაციონალები ამბობენ, ძალაუფლება არჩევნების გზით „ოცნებას“ ჩვენ გადავეცითო.***



– მათ არაფერი გადაუციათ, არჩევნები წააგეს და ამით დამთავრდა მაგათი ეპოქა. დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის, ამ მიღწევის შენარჩუნების საკითხი დადგა. ამის შემდეგ ნაცმოძრაობა კრიმინალურ-დანაშაულებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად რომ გამოცხადებულიყო...

***– სხვა ქვეყნებში ასეთ შემთხვევებში ჩინოსნებს 10 წლით აეკრძალათ პოლიტიკური თანამდებობების დაკავება. ეს რომ გაგეკეთებინათ, პოლიტიკური სპექტრი გასუფთავდებოდა.***

– მაშინ ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლა, დემოკრატიული პროცესების დაწყების იმიჯი წყალში იქნებოდა ჩაყრილი. მე ეს მესმის. აღნიშნული გადაწყვეტილება სწორი იყო, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, გარკვეული პიროვნებები, რომლებსაც ჩადენილი ჰქონდათ დანაშაულები, პარლამენტში უნდა მსხდარიყვნენ. სახელმწიფო ღალატის მონაწილე პირები, პარლამენტში რომ არიან წამოჭიმულები, პოლიტიკიდან უნდა წასულიყვნენ.

პარალელურად, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის ხელი უნდა შეეწყოთ და გაეძლიერებინათ. ეს არ მოხდა. ამიტომ ნაცებმა და მათმა ნაწილებმა თავი დაცულად იგრძნეს, იგრძნეს, რომ სიტუაციიდან გასულები არიან, რადგან ასეთი მომენტი სახელმწიფოსთვის მომგებიანია საერთაშორისო კონიუნქტურიდან გამომდინარე და ქართული ანდაზა რომ არის, ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო.

***– ასეთი რა ჩაიდინეს?***

– თავდაცვის მინისტრის პარლამენტში გამოსვლის დროს ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, ბოლო-ბოლო, რა გააწყალეთ გული, დაივიწყეთ, რაც მოხდა წინა 9-წლიანი რეჟიმის დროსო. ამას ამბობს გიგა ბოკერია. სერგო ორჯონიკიძეები, ფილიპე მახარაძეები უნდა დავივიწყოთ? სერგო ორჯონიკიძე და სხვები, რომლებიც რუსეთის არმიას შემოუძღვნენ საქართველოში და 20-იანი წლების ყველაზე სასტიკი რეპრესიების ავტორები იყვნენ საქართველოში, ესეც დავივიწყოთ-მეთქი? ამით, იცით, რას გვეუბნებიან?

***– რას?***

– დაივიწყეთ, რომ სამხედრო ბაზები წამოვაჭიმვინეთ ჩვენს ორ რეგიონში, დაივიწყეთ ათიათასობით ადამიანის ლტოლვილად ქცევა, დაივიწყეთ ის 54.000 ადამიანი, რომლებსაც სამართლიანობის აღდგენასა და ქონების დაბრუნებაზე განაცხადი აქვთ შეტანილიო. წარმოიდგინეთ, 54 ათასი საჩივრის განხილვა არ გინდა? როდის მოესწრება? რამდენი წელი დასჭირდება ამას?

ამ ქვეყანას სჭირდება პოლიტიკური სტაბილურობა. არ იქნება სტაბილურობა და იქნება ის, რაც იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში. ამის სერიოზული საფრთხე არსებობს. ნურავის ჰგონია, რომ სააკაშვილი იბრძვის ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

***– აბა, რისთვის იბრძვიან?***

– სააკაშვილი და ნაციონალები იბრძვიან დესტაბილიზაციის მოსაწყობად.

***– თქვენ იმასაც ამბობდით, ნაციონალებს ჰააგის ტრიბუნალის ეშინიათო. რატომ უნდა ეშინოდეთ ჰააგის ტრიბუნალის?***

– ჰააგის ტრიბუნალი გაეროს ტრიბუნაა, რომელიც იხილავს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს. 2008 წელს ჰააგის ტრიბუნალზე გაიგზავნა სარჩელი ომთან დაკავშირებით. 2010 წელს ჰააგის ტრიბუნალმა წინასწარ განიხილა ეს სარჩელი, მიეღო თუ არა წარმოებაში და უარი უთხრა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია პროცედურები.

2016 წელს საქართველოს ხელისუფლებამ 700 მტკიცებულება წარადგინა რუსეთის მხრიდან ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, მტკიცებულებების მოპოვება როგორ მოხდა, ეს კიდევ სხვა თემაა, იმდენი დოკუმენტი იყო დაკარგული, ეს კიდევ გამოსაძიებელია. მთავარი ისაა, რომ ჰააგის ტრიბუნალმა თავიდან განიხილა საკითხი და სარჩელი წარმოებაში მიიღო. ეს უზარმაზარი გამარჯვებაა.

***– მესმის, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ ომისა და აგრესიის გამო ჰააგის ტრიბუნალმა სარჩელი მიიღო და ნაცმოძრაობას რისი უნდა ეშინოდეს?***

– როგორც კი გაცხადდა. რომ გაეროს ტრიბუნალმა საქართველოს სარჩელი მიიღო წარმოებაში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ჰააგის ტრიბუნალმა რუსეთ-საქართველოს ომის საკითხზე სარჩელი მიიღო, სადაც მხოლოდ რუსების მიერ ჩადენილი დანაშაულები იქნება წარმოდგენილი და ამიტომ რუსეთი ჰააგის ტრიბუნალს ტოვებსო. წარმოიდგინეთ, რუსებს საქართველოს ხელისუფლების მიერ წარდგენილი მასალების როგორ შეეშინდათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცაა.

***– გასაგებია, მაგრამ ნაცები რა შუაში არიან?***

– ნაციონალებს უნდა ეშინოდეთ, რადგან გამოაშკარავდა, რომ სარჩელი პროცედურების დარღვევით გააკეთეს. მაშინ რატომ არ გაიქცა რუსეთის ხელისუფლება ჰააგის ტრიბუნალიდან?

***– პროცედურები შეგნებულად დაარღვიეს?***

– არ ვიცი, მაგრამ, როგორ შეიძლება, ასეთი მნიშვნელოვან საკითხის დროს პროცედურები დაარღვიო. რუსეთი წავიდა ჰააგის ტრიბუნალიდან, პასუხისმგებლობა რომ აიცილოს, ნაცმოძრაობამ კი არჩევნების დროს განაცხადა, თითქოს ჰააგის ტრიბუნალზე განიხილებოდა ქართველი ჯარისკაცების ვითომ დანაშაულები.

***– კი მაგრამ, რა დანაშაულები ჰქონდათ ჩადენილი ქართველ ჯარისკაცებს?***

– არაფერი. როდის იყო, ასეთ სიტუაციაში ვინმე ჯარისკაცებს ადანაშაულებდა. თუ რამე ხდება, უმაღლესი ხელისუფლების დანაშაულები განიხილება ხოლმე. ჯარისკაცების პასუხისმგებლობაზე ნაცები იმიტომ ალაპარაკდნენ, რომ ჯარში განხეთქილება შეეტანათ. ეს ყველაფერი სახელმწიფო ღალატის ნიშნებს შეიცავს. ძალისმიერ სტრუქტურებში რყევების გამოწვევა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რაც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებშია.

# აშშ-ირანის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიასაც გადმოსწვდება

## რა ხათაბალაში ეხვევა საქართველო?

მარიამ მჭედლიშვილი

უცხოელი ანალიტიკოსები მუდმივად აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონსა და თეირანს შორის კონფლიქტის გაღრმავება იმოქმედებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე.

აშშ-სა და ირანს შორის ურთიერთობაზე ბევრი ოფიციალური და კულუარული ინფორმაცია ვრცელდება. მას შემდეგ, რაც აშშ გამოვიდა ირანთან დადებული ბირთვული მრავალმხრივი შეთანხმებიდან, ლაპარაკობენ როგორც პირდაპირი ომის შესაძლებლობაზე აშშ-სა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის, ისე საერთო ენის გამონახვის პერსპექტივასა და ახალი ბირთვული შეთანხმების ხელმოწერაზე.



8 აპრილის შემდეგ სიტუაცია გართულდა. ამ დღეს თეთრი სახლის მეთაურმა ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგები ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა. ეს გადაწყვეტილება ძალაში 15 აპრილს შედის.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ადრე შემოულია სანქციები იმ იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგებთან. ბოლო გადაწყვეტილება ეხება ორგანიზაციას, რომელიც ირანის ოფიციალურ სტრუქტურას წარმოადგენს.

დონალდ ტრამპის განმარტება ასეთია: ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგები აფინანსებენ და მხარს უჭერენ ტერორიზმს, რომელსაც ირანი ინსტრუმენტად იყენებს თავისი ინტერესების მისაღწევად გლობალურ ტერორისტულ კამპანიაში.

აშშ გლობალურად იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ. ამის გათვალისწინებით, „გუშაგების“ შეყვანა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში უცხოელმა ექსპერტებმა აღიქვეს, როგორც ირანის ამ სტრუქტურის გათანაბრება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ და „ალ-ქაიდასთან“.

„გუშაგების“ წინააღმდეგ ტერაქტებიც ეწყობოდა. მაგალითად, 2018 წელს ერთ-ერთმა ირანულმა დაჯგუფებამ თავზე აიღო ავტობუსის აფეთქება, რომელშიც „გუშაგების“ მებრძოლები ისხდნენ. აფეთქების დროს 30 კაცი დაიღუპა.

ტრამპის ამ გადაწყვეტილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ამერიკის პოლიტიკურ წრეებში. არსებობს მოსაზრება, რომ ამით რისკის ქვეშ დგება ახლო აღმოსავლეთში დისლოცირებული ამერიკელი სამხედროების სიცოცხლე.

დონალდ ტრამპის თანამოაზრედ ამ საკითხში ითვლება მისი მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი, რომლის საქართველოში შარშანდელი ვიზიტის მიზეზად ირანი სახელდება. ჯონ ბოლტონი აცხადებს, რომ აშშ უნდა დაეხმაროს ირანელ ხალხს, დაიბრუნოს თავისუფლება.

რის მიღწევა უნდა აშშ-ის პრეზიდენტს? ანალიტიკოსების დასკვნით, ირანს მარტო ახალი ბირთვული შეთანხმების დადებას არ სთხოვენ. თეირანმა უარი უნდა თქვას შიიტურ გასამხედროებულ ორგანიზაციებზე მეზობელ ქვეყნებში, აღიაროს ისრაელი, ანგარიში გაუწიოს ადამიანის უფლებებს, უკან დაიხიოს სირიასა და ერაყში. არ არის გამორიცხული, რომ ძლიერი ზეწოლა ირანზე გაგრძელდეს თეირანში ხელისუფლების შეცვლამდე.

„ბლუმბერგის“ ანალიტიკოსები თეთრ სახლს ურჩევენ, არ გამოიჩინოს რადიკალიზმი ირანის საწინააღმდეგო სანქციებში. მათი აზრით, ირანის ნავთობის ექსპორტის სრული დაბლოკვა აშშ-ისთვის დამაზიანებელი იქნება, ამიტომ ჯობია, შენარჩუნდეს გამონაკლისები ირანის ნავთობის ექსპორტირებაზე სანქციების საკითხში. რამდენიმე სახელმწიფოს დარჩა ირანული ნავთობის შესყიდვის უფლება. მათზე სანქციები არ ვრცელდება. ირანიდან ნახშირწყალბადების ექსპორტის მთლიანად აკრძალვა ამ პროდუქციას გააძვირებს, რაც დიდი დარტყმა იქნება ამერიკელი მომხმარებლების, ასევე წარმოებისა და ტრანსპორტისათვის.

ექსპერტები უკვე ამბობენ, რომ ირანი ახლო აღმოსავლეთის ეპიცენტრი ხდება, რაც გამოიწვევს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ამა თუ იმ ფორმით ჩაბმას ახალ თამაშებში.

საქართველოში სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ბოლო წლებში ხელისუფლების წაყრუებითა თუ ხელშეწყობით, ადგილობრივი დეველოპერებისა და მაკლერების მონდომებით ქვეყანაში ბევრი ირანელი დასახლდა.

მათ კომპაქტურად შეიძინეს ახლად აშენებული ბინები საქართველოში. მათში ზოგი ისლამური რევოლუციის გუშაგების მომხრე იქნება, ზოგი – მოწინააღმდეგე, ზოგი კი – სხვა ინტერესების გამტარებელი.

# რატომ ჩავარდა ბაყაყების ბიზნესი

საქართველოში ბაყაყების ბიზნესი 2010 წელს დაიწყო, თუმცა პროექტი მალევე ჩავარდა. საუბარი იყო ჯერ ბაყაყების მოშენებაზე, შემდეგ კი მისი ექსპორტი, როგორც კვების პროდუქტის. „საქსტატის“ მონაცემებით, ბაყაყების ქვეყნიდან გატანა მხოლოდ ერთხელ, 2010 წელს განხორციელდა, შემდეგ კი შეწყდა. აღარ არსებობს არც ის კომპანიები, რომლებმაც იმ პერიოდში აღნიშნული საქმიანობა წამოიწყეს.

რაც შეეხება იმპორტს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში ბაყაყის თათების იმპორტი 2018 წლის ჩათვლით ხორციელდებოდა. კერძოდ, 2015 წელს საქართველოში 0,1 ტონა პროდუქტი შემოვიდა, 2016 წელს – 0,6 ტონა, 2016 წელს – 0,048 ტონა, 2017 წელს – 0,3 ტონა, ისევე როგორც 2018 წელს. 2019 წელის იანვარ-თებერვალში კი ბაყაყის თათების იმპორტი აღარ განხორციელებულა.

რატომ ჩავარდა ბაყაყების ბიზნესი და ამასთან, აქვს თუ არა ქვეყანას რესურსი, რომ ეს სფერო განავითაროს, მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის პრეზიდენტი თემურ ტყემალაძე ამბობს, რომ საქმიანობის ჩავარდნის მიზეზი მისი არასწორად დაგეგმვა იყო. მისი თქმით, ბიზნესის დასაწყებად პირველ რიგში, საჭიროა შესაბამისი ცოდნის დაგროვება, შემდეგ კი სწორად დაგეგმვა, რადგან ვერ განახორციელებ პროდუქტის ექსპორტს, თუ მისი მოშენება და გამრავლება არ იცი.

რაც შეეხება რესურსს, თემურ ტყემალაძის თქმით, ქვეყანაში დარგის განვითარების დიდი პერსპექტივები არსებობს, რადგან ბაყაყი ყველა რეგიონში უხვად ბინადრობს.



– ბაყაყის წარმოება ძალიან საინტერესო მიმართულებაა, ეს არის იქტიოფაუნის ერთ-ერთი საუკეთესო კვების პროექტი. აღნიშნული სახეობა განკუთვნილია მხოლოდ კვებითი დანიშნულებისთვის, ამ დროს, ჩვენთან ამის კულტურა არ არსებობს. არადა, ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც, მასზე ძალიან დიდი მოთხოვნაა. თუმცა, ჩვენთან იშვიათად, რომ რომელიმე რესტორანში შეხვიდეთ, თითქმის არსად არის ბაყაყის მომზადების კულტურა. მითუმეტეს, ჩვენთან უამრავი შატოა სხვადასხვა რეგიონში და ამ პროდუქტის დამატება მიმზიდველობას შესძენდა ყველა ასეთ ობიექტს, – ამბობს თემურ ტყემალაძე.

მისი თქმით, ბაყაყის მოშენება საქართველოს პირობებში არანაირ სირთულეს და არც დიდი ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება, ბიზნესის დასაწყებად კი მთავარი სწორი ინფორმაციის მიწოდებაა, რასაც ჩვენთან არავინ აკეთებს.

– ქართული ბაყაყის ხორცს აქვს არაჩვეულებრივი გემო და განსაკუთრებით დიდ მოწონებას ტურისტების მხრიდან იმსახურებს. რაც შეეხება მის მოშენებასა და გამრავლებას, არანაირ სირთულესთან არ არის დაკავშირებული. ბევრად მარტივია ბაყაყის წარმოება, ვიდრე სხვა აკვაკულტურის.

უბრალოდ, ჩვენ არ გვაქვს საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც დაინტერესებულ ადამიანებს სწორ ინფორმაციას მიაწვდიან. ამ საკითხს უყურებენ ასე – ბაყაყი რას მომცემს?!... არადა, ძალიან ბევრ რამესაც მოგცემს. მისი წარმოება არაფერს ხელს არ უშლის. ჩვენი რესურსები სრულად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს მიმართულება განვავითაროთ. ამას არც დიდი ფართი სჭირდება, ნახევარი ჰექტარიც რომ გქონდეს, აწარმოებ თავისუფლად, – ამბობს თემურ ტყემალაძე.

მისი თქმით, გარდა იმისა, რომ ტურისტების მხრიდან აღნიშნულ პროდუქტზე მოთხოვნა სულ არის, საქართველოშიც არაერთი მსურველია, ვისაც ბაყაყის ხორცი უყვარს და სიამოვნებით შეიტანდა საკუთარ კვებით რაციონში.

ცნობისთვის, ბაყაყის ხორცი გემო თვისებებით ქათმისა და თევზის ხორცს წააგავს.

როგორც თემურ ტყემალაძე აღნიშნავს, იმისთვის რომ სფერო განვითარდეს, სახელმწიფოს ნებაა საჭირო, რომ მწარმოებლებს ხელი შეუწყოს, როგორც ინფორმაციის მიწოდების, ისე ამ მიმართულების სერტიფიცირების კუთხით.

– მე ვფიქრობ, სახელმწიფო ნება უნდა გაჩნდეს, რომ ხელი შეუწყონ მწარმოებლებს. ეს არის ქვეყნისთვის დამატებით შემოსავლები, რადგან საშუალო ბიზნესის წარმოების საუკეთესო მიმართულებაა. თუ თევზზე მოთხოვნა იზრდება და სპეციალური პროგრამები მუშავდება, აქაც საჭიროა რაღაც ნაბიჯების გადადგმა, რაშიც საზოგადოებაც უნდა ჩაერთოს. ეს არის ბიზნესი, რომელიც დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს და ამასთან, ხელმისაწვდომია საქართველოს ნებისმიერ კუთხეში.

გარდა ამისა, ბაყაყის ბიზნესში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩაერთოს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას. ერთადერთი, სამაცივრე დანადგარები იქნება საჭირო და შემდეგ – სერტიფიცირება, – ამბობს თემურ ტყემალაძე.

BPN

# ივანე მაჭავარიანი: „მსოფლიო ბანკი მთავრობის მიერ ინიცირებულ განათლების რეფორმას მიესალმება“

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, სადაც მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ჯგუფის ყოველწლიურ საგაზაფხულო შეხვედრებში.

ვიზიტის ფარგლებში, ფინანსთა მინისტრი შეხვდა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის ვიცეპრეზიდენტ სირილ მიულერსა და ბანკის აღმასრულებელ დირექტორ კოენ დევიდს.

მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსთან თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები. შეხვედრაზე პოზიტიურად შეფასდა რეფორმების პროცესში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი და



გამოითქვა იმედი, რომ თანამშრომლობა მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის სამომავლოდ კიდევ უფრო გაღრმავდება.

– მსოფლიო ბანკი მიესალმება მთავრობის მიერ ინიცირებულ განათლების რეფორმას. ბანკის წარმომადგენელთა მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, აქტიურად ჩაერთონ აღნიშნული რეფორმის განხორციელების პროცესში, როგორც ფინანსური მხარდაჭერის გზით, ასევე, ექსპერტების მონაწილეობით. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი გააგრძელებს საქართველოსთან თანამშრომლობას ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით, ენერგეტიკის სექტორში. ის გამოყოფილი ფინანსური სახსრები, რომელიც მსოფლიო ბანკის მხრიდან უნდა დაიხარჯოს შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, საკმაოდ შთამბეჭდავია. რაც შეეხება განათლების რეფორმას, ეს არის გრძელვადიანი რეფორმა და სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ პროცესში ისეთი პარტნიორის მხარდაჭერა, როგორიც არის მსოფლიო ბანკი, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა.

– ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დელეგაციასთან მსოფლიო ბანკის საგაზაფხულო შეხვედრის ფორმატში შეხვედრა. ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი დისკუსია მთავრობის პრიორიტეტებსა და იმ პროექტებზე, რომელიც საქართველოში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. კერძოდ, ჩვენ განვიხილეთ განათლების საკითხები, სადაც საქართველოს მთავრობა ცდილობს ვითარების გაუმჯობესებას და ამით ქვეყანას მისცეს წინსვლის საშუალება. ასევე, განვიხილეთ ენერგეტიკული სექტორი და ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა. მოხარული ვარ, რომ საქართველო აგრძელებს მტკიცე ზრდას, მიუხედავად რთული ეკონომიკური მდგომარეობისა მეზობელ ქვეყნებში, – განაცხადა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, სირილ მიულერმა.

– ფინანსთა მინისტრთან შეხვედრისას, განვიხილეთ საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები. ჩვენ გამოვხატეთ დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ საქართველოს აქვს ძალიან კარგი წინსვლა ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. საქართველოს მეექვსე ადგილი უკავია მსოფლიო ბანკის „Doing Business-ის“ რეიტინგში, რაც ძალიან პოზიტიური შედეგია. ივანე მაჭავარიანმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ადამიანური კაპიტალის განვითარების აუცილებლობაზე. საქართველო გახლავთ ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა მსოფლიო ბანკის „ადამიანური კაპიტალის ინიციატივას“. ფინანსთა მინისტრმა ჩვენთან საუბრისას, აქცენტი გააკეთა დაწყებითი, საშუალო განათლებისა და პროფესიული გადამზადების მასშტაბურ რეფორმაზე და ვფიქრობ, მსოფლიო ბანკი მტკიცედ დაუჭერს მხარს ამ ამბიციურ ინიციატივას, – აღნიშნა ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა, კოენ დევიდსმა.

მსოფლიო ბანკი საქართველოში მიმდინარე რეფორმების აქტიური მხარდამჭერია. მსოფლიო ბანკთან 25-წლიანი თანამშრომლობის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში ბანკის 100-ზე მეტ პროექტში, დაახლოებით, 4.3 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა.

BPN

## 5 ქვეყანა, საიდანაც ყველაზე მეტი ქართველი გამოადეპორტეს

2019 წლის თებერვალში ქვეყნიდან 244.998 საქართველოს მოქალაქე გავიდა. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ამასთან, უწყების ცნობით, თებერვალში საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებიდან ყველაზე ხშირად გერმანიაში მიემგზავრებოდნენ. კერძოდ, გერმანიაში საქართველოს მოქალაქეთა გასვლების რაოდენობა 5.112 იყო. მას მოსდევს პოლონეთი, სადაც 3.198 გამგზავრება ფიქსირდება; მე-3 ადგილზე კი 2.994 გასვლით საბერძნეთია.




შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციაზეც მოიცავს ინფორმაციას. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი – 91 პირი თურქეთიდან გამოადეპორტეს. მას მოსდევს ისრაელი – 81 საქართველოს მოქალაქით; მე-3 ადგილზეა გერმანია, საიდანაც თებერვალში 19 პირი გამოადეპორტეს; მე-4 ადგილს საფრანგეთი იკავებს, საიდანაც 16 მოქალაქის დეპორტაცია განხორციელდა, მას მოსდევს რუსეთი 14 მოქალაქის დეპორტაციით.

საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციის მიხედვით, ქვეყნების ათეულში არიან ასევე: იტალია – 11; ნიდერლანდი, შვედეთი და შვეიცარია – 9-9-9 მოქალაქის; ათეულში ბოლო ადგილებს ბელგია და ესპანეთი იკავებენ, საიდანაც 8-8 საქართველოს მოქალაქის დეპორტაცია განხორციელდა.

BPN

## 1-ლი მაისიდან თამბაქოს ბიზნესისთვის ახალი ვალდებულება ამოქმედდება

1-ლი მაისიდან თამბაქოს ბიზნესისთვის ახალი ვალდებულება ამოქმედდება. ამის შესახებ თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ თავმჯდომარე გიორგი ბახტურიძემ რადიო „პალიტრას“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

მანვე თუთუნის რეალიზაციის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ პროდუქტის რეალიზაცია ხდება კანონდარღვევით, რადგან არ აქვთ გადახდილი აქციზი და შეფუთვა-მარკირების წესებიც დარღვეულია.

– ეს პროდუქტი საცალო ბაზარზე, როგორც ნედლეული, ისე გადის და არ იბეგრება, მაშინ როცა 1 კილოგრამ თუთუნზე სადაბეგვრო რეჟიმით 35 ლარია ანუ მეწარმეები ამ თანხის გადახდას თავს არიდებენ. როგორც უაქციზო საქონლის რეალიზაცია, ეს არის ადმინისტრაციულად დასჯადი დანაშაული, მაგრამ, თუ დიდი რაოდენობით ხდება უაქციზო საქონლის რეალიზაცია, ამ შემთხვევაში შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დადგეს.

მეორე საკითხია შეფუთვა/მარკირება, როდესაც მომხმარებელს ტომრიდან ცელოფნის პარკში უყრიან 100-200 გრამს, ეს არის კანონდარღვევა, რადგან ის უნდა იყოს კანონის შესაბა-



მისად შეფუთული, მარკირებული, პიქტოგრამა უნდა იყოს მასზე გამოსახული, უნდა ჰქონდეს გაფრთხილება სამედიცინო ქართულ ენაზე და ასევე აქციზი უნდა იყოს დაკრული. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს მეწარმეს რეალიზაციის უფლება.

შესაბამისად, გამოდის რომ ამ პროდუქტის რეალიზაცია კანონდარღვევით ხდება, რადგან აქციზი არ აქვთ გადახდილი და შეფუთვა-მარკირების წესებიც დარღვეულია, რაზეც 2 ათასი ლარიდან არის საჯარიმო სანქცია. თუმცა, იანვრიდან, მას შემდეგ რაც ამ კუთხით სიტუაცია გამძაფრდა დასჯილი ორგანიზაცია არ მინახავს, – აღნიშნა ბახტურიძემ.

მანვე ბიზნესისთვის ახალ ვალდებულებაზეც ისაუბრა, რომელიც 1-ლი მაისიდან ამოქმედდება.

– 1-ლი მაისიდან სავალდებულო ხდება, რომ თუ თუთუნი, ელექტრო სიგარეტი, ან სხვა ნებისმიერი სახის თამბაქოს პროდუქტი, სარეალიზაციოდ გაგაქვს, 3 თვით ადრე ვიდრე სარეალიზაციოდ სავაჭრო ქსელში გაიტან, ჯანდაცვის სამინისტროში უნდა წარადგინო ყველა ინფორმაცია ამ თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის და მისი ქიმიური დანამატების შესახებ. მსგავსი ინფორმაციის წარდგენა ქვეყანაში შემოსულ ყოველ პარტიაზე სავალდებულო იქნება. თუ მეწარმე ამ მოთხოვნას არ შეასრულებს ან არასრულად წარადგენს ინფორმაციას, კანონით საჯარიმო სანქციაა გათვალისწინებული, – განაცხადა ბახტურიძემ.

შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზზე ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემაც ისაუბრა. მისი თქმით, უფილტრო და ფილტრიან სიგარეტზე ფასის გაზრდის შემდეგ მოქალაქეებმა სიგარეტის მოხმარების შემცირების ნაცვლად იაფი პროდუქტის, დაფასოებული თამბაქოს ყიდვა დაიწყეს.

BPN

## საქართველოში დაზღვეული ავტომობილების რაოდენობა 8,3%-ით გაიზარდა

საქართველოში ერთ წელიწადში დაზღვეული ავტომანქანების რაოდენობა 8,3%-ით გაიზარდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მანქანის დაზღვევის კულტურა მაინც დაბალია.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 6%-ია დაზღვეული. კერძოდ, გასულ წელს ავტომანქანის დაზღვევის 75.863 პოლისია გაცემული, რაც 2017 წელთან შედარებით 5.821 პოლისით მეტია.

ამავე სტატისტიკით, ავტოდაზღვევიდან მოზიდული პრემია 2018 წელს სულ 85,77 მლნ ლარს შეადგენდა. პრემიის 26%, 22,42 მლნ ლარი – „თიბისი დაზღვევაზე“ მოდის, 25%, 21,98 მლნ ლარი – „ალდაგზე“, 16%, 13,43 მლნ ლარი „ჯი პი აი ჰოლდინგზე“, 5%, 4,22 მლნ ლარი „ირაოზე“, 4%, 3,82 მლნ ლარი „ტაოზე“, 24% კი ყველა დანარჩენ სადაზღვევო კომპანიაზე ნაწილდება.

ამასთან, 2016 წელს საქართველოში სულ 51.551 ავტომანქანა იყო დაზღვეული, 2017 წელს კი – 70.042.

BPN

## 2018 წელს სადაზღვევო ბაზრის წმინდა მოგება გაორმაგდა

საქართველოს სადაზღვევო სექტორმა 2018 წელი მნიშვნელოვანი მოგებით დაასრულა. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 542.20 მილიონი ლარი, 2017 წელს კი ეს მაჩვენებელი 441.40 მილიონ ლარს შეადგენდა.




ამავე პერიოდის შედეგებით სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება გასულ წელთან შედარებით გაორმაგდა და 42.19 მილიონი ლარი შეადგინა, აქტივები შეადგენს 743.22 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 221.64 მილიონ ლარს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს კომპანიების წმინდა მოგება 20.34 მილიონ ლარს შეადგენდა, აქტივები - 580.22 მილიონ ლარს, კაპიტალი 154.25 მილიონ ლარს შეადგენდა.

საქართველოს მოსახლეობის 15 პროცენტი სარგებლობს კერძო სამედიცინო დაზღვევით, ასევე საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 6 პროცენტია დაზღვეული. 2018 წელს 549.758 სამედიცინო დაზღვევის პოლისები იყო მოქმედი, ავტოდაზღვევის კუთხით კი 75.863 პოლისი იყო გაყიდული.

კომერსანტი

# ქუთაისში ჩანთაში ჩადებული ქალის დანაწევრებული გვამი აღმოაჩინეს




ადვოკატ ლედი ტუკვაძის ინფორმაციით, 2 დღის წინ ქუთაისში ძალოვნებმა ქალის დასახიჩრებული ცხედარი იპოვეს და ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

ჯერჯერობით სამართალდამცავები ამ ფაქტს არ ახმაურებენ. ადვოკატი კი ირწმუნება, რომ მომხდარი რეალურია.

– ჩემთვის არის ცნობილი, რომ დანაწევრებული, ჩანთაში ჩადებული ქალის გვამი აღმოაჩინეს და როგორც ვიცი, ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი, რათა დადგინდეს გენეტიკურად მისი ვინაობა. იმედია, დეტალებს სამართალდამცავები დაადგენენ. ქუთაისის მთავარი სამმართველო იძიებს ამ საქმეს და ვფიქრობ, რომ სასწრაფოდ უნდა გაიხსნას ეს საშინელი ამბავი.

უბედურებაა, ქალი სადისტმა დაასახიჩრა, დაანაწევრა და ეტყობა გადაადგილდებოდა კიდეც ჩანთით, რომელშიც უსულო ქალის დანაწევრებული ცხედარი ეწყო, მერე სადღაც მიაგდო მსხვერპლი და თვითონ, ალბათ, თავისუფალია. ეს ფაქტი რატომღაც არ გახმაურებულა. ვერ გამიგია, რატომ არ ხდება სასწრაფოდ გამოძიება და დეტალების გარკვევა, ჯობია ასეთი მძიმე დანაშაულები დროულად გამოავლინონ და ამას მიხედონ. რატომ დუმან? ვინ არის ეს ადამიანი, ჩემთვის უცნობია, როგორც ვიცი, მის ვინაობას ადგენენ ძალოვნები.

დანაწევრებული, უსულო გვამი – ორი დღეა ეს სიტყვები მიტრიალებს თავში. ჰყავს კი ვინმე მომკითხავი?! ვინ იცის, გახსნის ვინმე ამ საქმეს?! ვისი შვილია, ვინ გაამწარეს და გააუბედურეს ასე? ღმერთმა ქნას, დამნაშავე დროულად იპოვონ, – ამბობს ლედი ტუკვაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტეს, რომ ნაპოვნია ადამიანის ჩონჩხი, სავარაუდოდ, ერთი წლის ან მეტი ხნის, ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სხვა დეტალზე ჯერ განმარტებებს უწყებაში არ აკეთებენ.



# ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის საჩივრის განხილვაზე სასამართლომ უარი უთხრა

საქალაქო სასამართლომ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის საქმის არსებითი განხილვა შეწყვიტა.

სამოქალაქო დავა საქართველოს სამეფო ოჯახის სახელის უნებართვოდ გამოყენებას ეხებოდა.

სხდომაზე უნდა გამოკითხულიყვნენ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ადვოკატის მიერ დასახელებული ისტორიკოსები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ სამეფო სახელით სარგებლობის უფლება მხოლოდ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის აქვს.

უცნობია, რა მოტივით უთხრა სამმა მოსამართლემ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის საჩივრის განხილვაზე უარი.

დავით ბაგრატიონ-მუხრანელის ადვოკატი ლევან ჩხეიძე მოსამართლეების გადაწყვეტილებით კმაყოფილია. ადვოკატის თქმით, სასამართლომ ჩათვალა, რომ არანაირი იურიდიული საფუძვლები არ არსებობდა.

– ჩვენ ამას ვიძახდით, რომ საქმე სასამართლომ საერთოდ არ უნდა განიხილოს, არათუ უარი უთხრას. ჩვენი შუამდგომლობაც ამაში მდგომარეობდა, რომ საქმე უნდა შეწყვეტილიყო დავის საგნის არარსებობის გამო, იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეს არ აქვს იურიდიული ინტერესი, – ამბობს ადვოკატი.

ადვოკატი იმედოვნებს, რომ ასევე დავით ბაგრატიონ-მუხრანელის სასარგებლოდ დასრულდება მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, სადაც ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ყოფილ ქმარს ძალადობაში ადანაშაულებს.

ადვოკატი ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის საჩივარს „ჭიქაში ატეხილ ქარიშხლად" მოიხსენიებს.

აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის კომენტარი არ გაუკეთებია. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, მან აღნიშნა, რომ ამ საჩივარს ბოლომდე გაჰყვება.

– სასამართლომ ვერ გაბედა, ეს საკითხი გადაეწყვიტა და თავიდან მოიშორა, – ასე შეაფასა ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ადვოკატმა ლევან გორელაშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილება.

მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება უცნაურია და ის მას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

– განჩინება, რომელიც გამოგვიცხადეს, გასაჩივრებას ექვემდებარება და ვეცდებით, ზემდგომი ინსტანცია დავარწმუნოთ, რომ ეს საკითხი სასამართლოს განსახილველია, რადგან ადგილი აქვს სახელის უფლების დარღვევას, რომელიც საკანონმდებლო ჩანაწერის დონეზე არსებობს და ის მხოლოდ ჩანაწერი არ უნდა იყოს, რეალური შედეგები უნდა მოჰყვეს, – განაცხადა ადვოკატმა გორელაშვილმა.

# წითელ ხიდსა და სარფში არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

წითელ ხიდსა და სარფში არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.



„2-11 აპრილს საბაჟო გამშვებ პუნქტებში „წითელი ხიდი" და „სარფი", არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ფიზიკური და კუთვნილი ავტომანქანების დათვალიერების შედეგად, ჯამში, 7,080 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და სანქციის სახით თითოეულს ფულადი ჯარიმა ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ, ხოლო კანონდამრღვევ მოქალაქეს თ.მ-ს ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათას ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა", – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სასამართლოზე იაგო ნებიერიძის მობილურიდან ამოღებული ვიდეო გაასაჯაროვეს

გუშინ, 11 აპრილს, გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ იაგო ნებიერიძის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში თავად ბრალდებულის მობილური ტელეფონიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერი გამოიკვლიეს.



აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქმის პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა განუცხადა.

როგორც ის აღნიშნავს, გამოკვლეული ვიდეოჩანაწერი ნებიერიძისთვის წარდგენილ ორივე ბრალდებას ადასტურებს.

– დღევანდელ პროცესზე ბრალდების მხარემ 8 მოწმე წარმოადგინა, წარმოდგენილი იყვნენ ექსპერტ-კრიმინალისტები, ასევე ექსპერტი, რომელმაც საინფორმაციო ტექნიკური ექსპერტიზა ჩაატარა. ასევე დაიკითხნენ გამომძიებლები, რომლებმაც სასამართლოს იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე უამბეს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს. ასევე, გამოვიკვლიეთ ვიდეოჩანაწერი და გარკვეული დოკუმენტების ნაწილი, – განაცხადა გუგუტიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, 33 წლის, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს.

იაგო ნებიერიძეს ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენას.

ნებიერიძეს ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# თბილისში 2 ახალგაზრდა დააკავეს

საპატრულო პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით 2 პირი დააკავა

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ნ. ხ. და 1989 წელს დაბადებული ს. გ., წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

„საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ დიღმის ტერიტორიაზე, გადამოწმების მიზნით შეაჩერეს ავტომანქანა. მისი მძღოლის ს.გ.-ს და მგზავრის – ნ.ხ.-ს პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია: 49 მცირე შეკვრად დაფასოებული და 1 მოზრდილი შეკვრა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. ბიო, ასევე, 1 აბი „ექსტაზი" და 2 შეკვრა თეთრი ფერის ფხვნილი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერება, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 9 აბი, ერთი ნატეხი „ექსტაზი" და ორ შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო.



გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტებით", – ნათქვამია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ტერორიზმის ბრალდებით თურქეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

თურქეთში, იზმირის პროვინციაში, ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან" კავშირის ბრალდებით 10 უცხოელი დააკავეს, მათ შორის ერთი საქართველოს მოქალაქეა. ამის შესახებ ინფორმაციას თურქული გამოცემა „Daily Sabah" ავრცელებს.



მათივე ცნობით, ათი დაკავებულიდან ცხრა სირიელი იყო, ხოლო ერთი – საქართველოს მოქალაქე.

არსებული ინფორმაციით, დაკავებულებს კონტაქტები ჰქონდათ „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტებთან სირიაში.

# ცხენისა და ვირის ხორცის რეალიზაციის ფაქტზე 2 პირი ამხილეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოსთან და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირი ამხილა.



უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სხვადასხვა რეგიონში, დაბალ ფასში იძენდნენ ცხენისა და ვირის ტანხორცს, რომლის ტრანსპორტირებაც ხდებოდა ქ. თბილისში მდებარე ობიექტზე კუსტარული წესით მოწყობილ „ბოინში", სადაც ყოველგვარი რეგისტრაციისა და სანიტარიული ნორმების დაცვის გარეშე ახდენდნენ ცხენისა და ვირის ხორცის დარბილება-დამუშავებასა და მის შემდგომ რეალიზაციას ბაზრობებზე და სხვადასხვა კვების ობიექტზე საქონლის ხორცის სახით.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბაზრობაზე, ასევე რამდენიმე ობიექტზე ამოღებულია დიდი ოდენობით ხორცი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შეიცავს ცხენის და ვირის დნმ-ს. ასევე „ბოინში" აღმოჩენილ იქნა ცხენისა და ვირის სხეულის ნაწილებიც.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე.

# ჯულიან ასანჯი ლონდონში დააკავეს

## აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა მას ბრალი წაუყენა



გუშინ, 11 აპრილს, ვიკილიქსის დამფუძნებელი ჯულიან ასანჯი ლონდონის პოლიციამ ლონდონში, ეკვადორის საელჩოსთან დააკავა.

მანამდე ეკვადორის ხელისუფლებამ მას დიპლომატიური თავშესაფრის სტატუსი მოუხსნა. ბოლო 7 წელი ჯულიან ასანჯს ლონდონში, ეკვადორის საელჩოში ჰქონდა თავშესაფარი მიღებული.

ვიკილიქსში აცხადებენ, რომ ჯულიან ასანჯს საელჩოს ტერიტორია არ დაუტოვებია და ეკვადორის ელჩმა პოლიცია მიიწვია საელჩოს ტერიტორიაზე მის დასაკავებლად.

2010 წელს ორმა ქალმა განაცხადა, რომ ასანჯის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ასანჯი ამავე წლის დეკემბერში ბრიტანეთში დააკავეს, შემდეგ კი გირაოთი გაათავისუფლეს. 2012 წელს ასანჟმა ეკვადორის ხელისუფლებას მიმართა პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით. მას შემდეგ ის ლონდონში, ეკვადორის საელჩოში ცხოვრობდა.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა ჯულიან ასანჯს ბრალად წაუყენა ჩელსი მენინგთან შეთქმულება, რომლის მიზანი იყო აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კომპიუტერებში შეღწევა საიდუმლო ინფორმაციის მისაღებად.

ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის განცხადებაში.

„შეთქმულების მთავარი მიზანი იყო, ხელი შეეწყო მენინგისთვის საიდუმლო ინფორმაციის მიღება-გადაცემაში. ეს ინფორმაცია აშშ-ის ეროვნული თავდაცვის საკითხებს ეხებოდა და მათი განთავსება ვიკილიქსის“ საიტზე იგეგმებოდა“, – ნათქვამია განცხადებაში.

ჩელსი მენინგს, რომელიც აშშ-ის არმიაში მსახურობდა, ვიკილიქსთან თანამშრომლობისა და ჯაშუშობის გამო 2013 წლის აგვისტოში 35 წელი მიუსაჯეს, თუმცა 2017 წლის 18 იანვარს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მენინგს სასჯელი შეუმცირა და ის ციხიდან იმავე წლის მაისში გამოვიდა.

# ზელენსკი მეორე ტურშიც დამაჯერებლად გაიმარჯვებს

როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ვლადიმერ ზელენსკი დამაჯერებლად გაიმარჯვებს. ის ორჯერ უფრო მეტ ხმას აგროვებს, ვიდრე ამჟამინდელი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, ზელენსკიმ პოროშენკოს უკანასკნელი კოზირი გამოაცალა. პეტრო ალექსეევიჩი აცხადებდა, რომ უკრაინის დამოუკიდებლობას იცავს, ზელენსკი კი პრორუსული ორიენტაციის მოღვაწეა. მაგრამ ზელენსკის საარჩევნო პროგრამაში ნათლად წერია, რომ უკრაინის საგარეო კურსი პროდასავლურია, რაც ზელენსკიმ თავის ტელეინტერვიუშიც გაიმეორა.

– მხარს ვუჭერ უკრაინის გაწევრიანებას ნატოსა და ევროკავშირში. მთლიანად ვიზიარებ პოროშენკოს სლოგანს: ერი, არმია, ენა! მე მხოლოდ წინააღმდეგი ვარ უკანონობის, განუკითხაობისა და კორუფციის, რამაც ჩვენი ქვეყანა წალეკა, – ამბობს ზელენსკი.

პორტნიკოვის აზრით, ამით პოროშენკოს მანევრი შეიზღუდა.



ახლა პეტრო ალექსეევიჩმა საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ კორუფციასაც ებრძვის და რუსეთის მეხუთე კოლონასაც, რომელიც უკრაინაში თავს არხეინად გრძნობს და ლიად ეწევა პრორუსულ პროპაგანდას!



# ისრაელი: ოპოზიციამ დამარცხება აღიარა

ისრაელის ოპოზიციური მოძრაობის „გაჰოლ ლავანის“ ლიდერმა განცმა დამარცხება აღიარა.

ნეტანიაჰუს ორგანიზაციამ „გაჰოლ ლავანზე“ 1%-ით მეტი ხმა მიიღო. მიუხედავად ამისა, არავის ეპარება ეჭვი, რომ ნეტანიაჰუს ბლოკი თავისი მოკავშირე პარტიების მეშვეობით უმრავლესობას შექმნის. ნეტანიაჰუც პრემიერის პოსტს შეინარჩუნებს.

ნეტანიაჰუ პრემიერის პოსტს ზედიზედ მეხუთედ ინარჩუნებს. ამდენ ხანს ამ თანამდებობაზე არც ერთი ისრაელელი პოლიტიკოსი არ ყოფილა.



# სუდანი: არმია ხალხის მხარეს გადავიდა

სუდანის დედაქალაქ ხართუმში მასობრივი გამოსვლებია. მანიფესტანტები პრეზიდენტ ომარ ალ-ბაშარის გადადგომას მოითხოვენ.

უშიშროების ძალებმა მანიფესტანტების დაშლა ცადეს. გაიმართა შეტაკება. ამ დროს 8 ადამიანი დაიღუპა.

აქ საქმეში არმია ჩაერია.

სამხედროებმა სპეცსამსახურებს მანიფესტაციის დაშლის საშუალება არ მისცეს. ხალხმა ჯარისკაცებთან ერთად პრეზიდენტის სასახლეს ალყა შემოარტყა. მოთხოვნა კატეგორიულია: ალ-ბაშარი უნდა წავიდეს!

# ანგელა მერკელს დედა გარდაეცვალა



გარდაიცვალა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის დედა ჰერლინდ კასნერი. ის 90 წლის იყო.

მერკელის მამა ჯერ კიდევ 2011 წელს გარდაიცვალა. კანცლერის მშობლები ფართო საზოგადოების წინაშე იშვიათად ჩნდებოდნენ. ისინი დაესწრნენ თავიანთი ქალიშვილის მიერ კანცლერის ფიცის დადების ცერემონიას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

- ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბადრი კვარაცხელია: „ჩემმა შვილმა არჩევანი თავად უნდა გააკეთოს“

18 წლის ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია მოსკოვის ლოკომოტივს ნელ-ნელა უშინაურდება. იური სიომინი ჩვენებურს ჯერ შეცვლებიდან ათამაშებდა, გასულ უქმეებზე კი ზენიტთან ძირითად შემადგენლობაში დააყენა.

გამოცდილი სპეციალისტი და, სხვათა შორის, ადგილობრივი მედიაც ქართველ შემტევს აქებს. ფეხბურთელს ჯერ პრესასთან საუბარი აკრძალული აქვს, სამაგიეროდ, რუსული მედია ხვიჩას მამას, წარსულში ფეხბურთელსა და ამჟამად რუსთავის მწვრთნელ ბადრი კვარაცხელიას ესაუბრა.

***– მოულოდნელი იყო ხვიჩას დებიუტი სასტარტო შემადგენლობაში?***

– არ გამკვირვებია, რომ თავიდანვე ითამაშა. ვნახე მისი ვარჯიშები და კარგად ვიცი რა შეუძლია. ალბათ, მწვრთნელების გათვლა იყო, რომ 45 წუთი ეთამაშა და შემდეგ შეეცვალათ. არ ვფიქრობ, რომ ეს არ დაუმსახურებია, პირიქით! ხვიჩა მხოლოდ 18 წლისაა, ძალიან ახალგაზრდაა და განვითარება შეუძლია. ზენიტთან კარგად ითამაშა, მაგრამ შეცდომებიც ჰქონდა. მომწონს ის ფაქტი, რომ თვითონაც არაა კმაყოფილი საკუთარი თამაშით. გამოდის, ესმის, რომ განვითარება სჭირდება.

***– ხვიჩას ბავშვობას როგორ გაიხსენებთ?***

– ჩემი საფეხბურთო კარიერა აზერბაიჯანში დავასრულე და ხვიჩამ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები სწორედ მაშინ ეზოში გადადგა. პირველი პროფესიონალური ვარჯიში კი საქართველოში იყო. 8 წლის იყო, როდესაც ოლიმპიკის აკადემიაში მივიყვანე. შემდეგ იყო ავაზა და ბოლო თბილისის დინამო. ეს 11 წლის ასაკში მოხდა. ფეხბურთის გარდა, სწავლაც უყვარდა, წელს სკოლა დაამთავრა. თუმცა მისი ნამდვილი გატაცება ყოველთვის ფეხბურთი იყო. თავისუფალ დროს მხოლოდ ფეხბურთს თამაშობდა.

***– როგორც ვიცით, ოჯახში საფეხბურთო „კლასიკო“ გაქვთ.***

– ჩვენს ოჯახში ყოველთვის ასე იყო. მე ბარსელონას ვგულშემატკივრობდი, ხვიჩა – რეალს. როდესაც „კლასიკოს“ ვუყურებდით, სახლში კატასტროფა ხდებოდა, პოლემიკა გრძელდებოდა. ხვიჩა ყოველთვის მოწამლული იყო რეალით და პერსონალურად რონალდუთი.

***– კვარაცხელია უნივერსალიზმით გამოირჩევა. რა თვისებები აქვს კიდევ?***

– ახლა ხვიჩა ნახევარდაცვაში თამაშობს. თუმცა, მანამდე სხვაგვარადაც იყო. დინამოში და საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში მარჯვენა ფლანგზე, შეტევაში თამაშობდა. მთლიანობაში მნიშვნელობა არ აქვს პოზიციას, ნახევარდაცვაში იქნება, შეტევაში, მარჯვენა და თუ მარცხენა ფლანგზე, უნივერსალი ფეხბურთელია. მკითხა, რატომ ათამაშებდნენ სხვადასხვა პოზიციაზე და ვუპასუხე: ითამაშე იქ, სადაც დაგაყენებენ, მხოლოდ ასე განვითარდები.

***– საქართველოს ერთ-ერთ წარმატებულ კლუბ თბილისის დინამოში დიდხანს არ გაჩერებულა და კარიერა მოკრძალებულ რუსთავში გააგრძელა. რატომ მოხდა ასე?***

– ნებისმიერ ქართველ ფეხბურთელს სურს დინამოში ითამაშოს. ეს არის ყველაზე ცნობილი გუნდი ქვეყანაში. ხვიჩას დიდხანს არ უთამაშია დინამოში და ეს ცალკე ისტორიაა. როდესაც 15 წლის იყო დინამოსთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ერთი სეზონის შემდეგ კლუბს კონტრაქტის გახანგრძლივება 3 წლით უნდოდა, მაგრამ ჩვენ – არა. ამ დროს ხვიჩა მუდმივად თამაშობდა, მაგრამ ჩვენი უარის შემდეგ არ ათამაშებდნენ. ნახევარი წელი სახლში იჯდა და ხელშეკრულების დასრულების შემდეგ რუსთავში გადავიდა.



***– ლოკომოტივის ინტერესი როდის გამოჩნდა?***

– ლოკომოტივი არ ყოფილა ერთადერთი ვარიანტი. დაინტერესებულ გუნდებში შედიოდნენ ლევერკუზენი, დორტმუნდი და სხვები. მაგრამ ჩემმა მეგობარმა, აგენტმა მამუკა ჯუღელმა ჩვენთან ისაუბრა და დაგვარწმუნა, რომ ლოკომოტივი აგვერჩია. მას ვენდობით, რადგან ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ. ლოკომოტივთან ნახევარწლიან იჯარაზე შევთანხმდით და შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება. სანამ ხვიჩა 18 წლის არ გახდა, კონტრაქტი გაფორმება შეუძლებელი იყო. თუ არ ვცდები, მოლაპარაკებები 2-3 თვე გრძელდებოდა. მაგრამ არც მე და არც ჩემს შვილს ამ ვარიანტზე უარი არ გვითქვამს, რადგან ძლიერი რუსული გუნდია.

სიომინს აზერბაიჯანიდან ვიცნობ და ბედნიერი ვარ, რომ ხვიჩა ასეთ ძლიერ მწვრთნელთან მუშაობს. მისგან ძალიან ბევრს ისწავლის. ხვიჩა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ მწვრთნელი ენდობა.

***– ძალიან ახალგაზრდა ასაკში ლოკომოტივთან ადაპტაცია არ გაუჭირდა?***

– მოსკოვში არ ვყოფილვარ მას შემდეგ, რაც ხვიჩამ კონტრაქტი გააფორმა. მაგრამ ჩვენ ხშირად ვკონტაქტობთ. კმაყოფილია, მოსწონს ბაზა, ვარჯიშები. ლოკოში სოლომონ კვირკველია ეხმარება, ხვიჩა რუსულად კარგად ვერ საუბრობს, სოლომონი ზოგჯერ თარჯიმნის როლსაც ითავსებს. ერთად დადიან ქალაქში და დროის უმეტეს ნაწილს კვირკველიასთან ატარებს.

***– გამოდის, ქალაქსაც შეეჩვია.***

– პირადად კარგად ვიცნობ მოსკოვს, მაგრამ ხვიჩამ მითხრა, რომ მას შემდეგ ძალიან შეიცვალა. თუმცა, მას მოსკოვის ღამის ცხოვრება არ აინტერესებს, ქალაქში იშვიათად გადის, ვფიქრობ, ეს ძალიან ადრეა. მომწონს ის ფაქტი, რომ ბაზაზე ცხოვრობს და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს.

***– იჯარის შემდეგ ლოკომოტივში დარჩება?***

– ჩემთვის ამ საკითხზე საუბარი ძნელია, მაგრამ მას ყველაფერში მხარს ვუჭერ. თუ ბავშვს რამე მოსწონს, მაშინვე მის მხარეს ვარ. თუ ლოკომოტივი კონტრაქტს შესთავაზებს, აგენტთან ერთად განვიხილავთ. საბოლოო გადაწყვეტილება თავად ხვიჩამ უნდა მიიღოს. მინდა თუ არა, რომ დარჩეს ლოკოში? ეს არის დიდი გუნდი, რუსეთში ერთ-ერთი საუკეთესო, დიდი ისტორიით. რა თქმა უნდა, მინდა, რომ დარჩეს და პროგრესი გააგრძელოს, მაგრამ, ვიმეორებ, ხვიჩამ არჩევანი თავად უნდა გააკეთოს.

# თავისუფალთა ექვსი მედალი



ბუქარესტში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ნაკრებმა 6 მედალი მოიპოვა – 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მოლოდინი გაცილებით მეტი იყო.

მძიმე წონის ფინალში გენო პეტრიაშვილი თურქ ტაჰა აკგულს დაუპირისპირდა და, სამწუხაროდ, 0:7 დამარცხდა. თურქი მოჭიდავე აკონტროლებდა ჭიდაობის მიმდინარეობას და ღირსეულადაც გაიმარჯვა. ერთია, პეტრიაშვილს ჩემპიონატამდე ტრავმა აწუხებდა, თუმცა მაინც მეტის მოლოდინი გვქონდა.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ბექა ლომთაძემაც, ხოლო ავთანდილ და ნიკა კენჭაძეები, ირაკლი მწითური და ელიზბარ ოდიკაძე ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ევროპის ჩემპიონატში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ჩაერთვებიან.

# დიეგო კოშტამ სეზონი დაასრულა



მადრიდის ატლეტიკოს თავდამსხმელ დიეგო კოშტასთვის ესპანეთის ჩემპიონატი ნაადრევად დასრულდა. ლა ლიგის 31-ე ტურის მატჩში ბარსელონასთან წაგებული მატჩის მიმდინარეობისას (0:2), არბიტრ ხესუს ხილ მანსანოს შეურაცხყოფისთვის ფორვარდი 8-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამას გარდა, ფეხბურთელი დაჯარიმდა 6.000 ევროთი, ხოლო ფეხბურთელის უსაქციელობისთვის მადრიდული კლუბი 2.800 ევროს გადაიხდის.

მანსანომ თავის რაპორტში მიუთითა, რომ ფეხბურთელი შეურაცხმყოფელი გამონათქვამით მისი დედის მისამართით გამოირჩა. მოგვიანებით თავად დიეგომ ბრალდება უარყო, თუმცა მისი ხმა მსაჯის მიკროფონმა დააფიქსირა და ჩაწერა.

მანამდე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ატლეტიკოს ხელმძღვანელობა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ფეხბურთელის გაყიდვის ვარიანტზე ფიქრობს. მადრიდულ კლუბში უკმაყოფილონი არიან როგორც ფორვარდის ქცევით, ისე მისი თამაშით.

30 წლის თავდამსხმელი, რომელსაც ბრაზილიისა და ესპანეთის მოქალაქეობა აქვს, ატლეტიკოში 2018 წლის იანვარში, ლონდონის ჩელსიდან დაბრუნდა. მიმდინარე სეზონში კოშტამ ესპანეთის ჩემპიონატის 16 მატჩში ითამაშა და მხოლოდ 2 გოლი გაიტანა.

სწორედ ამის გამო ატლეტიკოს ფეხბურთელთან განშორება სურს.

# ბარსამ და იუვემ საპასუხო მატჩებისთვის სასურველი შედეგები მიიღეს

**მანჩესტერი-ბარსელონა 0:1**

**<u>მანჩესტერი. ოლდ ტრაფორდი</u>**

**<u>0:1 შოუ (12ავ)</u>**

**მანჩესტერი:** დე ხეა, სმოლინგი, ლინდელეფი, შოუ, იანგი, პოგბა, ფრედი, მაკტომინი, დალოტი (ლინგარდი 74), რეშფორდი (პერეირა 85), ლუკაკუ (მარსიალი 68)

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, პიკე, ალბა, სემედუ, ლანგლე, არტური (სერხი 65), ბუსკეტსი (ალენია 90), რაკიტიჩი, კოუტინიო (ვიდალი 65), მესი, სუარესი

დიდი ალბათობით, მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივრები მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარი თვალით ვერ იხილავენ საყვარელი გუნდის გამარჯვებას „ოლდ ტრაფორდზე“. მანჩესტერელებმა მერვედფინალში შინ პსჟ-სთან წააგეს, ახლა კი – ბარსელონასთან. თუმცა, იტყვით, თუ პსჟ-ს დამარცხება მოახერხა სტუმრად, ბარსელონას რატომ ვერ მოუგებსო? იმიტომ, რომ, ბარსელონა პსჟ ნამდვილად არ არის და ასეთ შეცდომებს არავის პატიობს.

მანჩესტერელებს მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ დაურტყამთ ბარსელონის კარში, ბურთსაც ნაკლებს ფლობდნენ და საერთოდაც ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ.

ლუკ შოუს ავტოგოლი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში. ამ ნაადრევმა გოლმა ბარსელონაც დაამშვიდა. არც მათ უჩვენებიათ ის ღვთაებრივი ფეხბურთი, რომელსაც მისგან მუდმივად ელიან. ერნესტო ვალვერდეს გუნდი ძუნწი იყო შეტევაში, მაგრამ სხვა რგოლებში თამაშობდნენ საიმედოდ, მშვიდად და თავდაჯერებულად. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ბარსას ღია ვარჯიში ჰქონდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი –** დავიდ დე ხეა

ასეთ მატჩში ვინმეს გამოყოფა ძალიან ძნელია. მოსაწყენ ფეხბურთში ნათელი და კრეატიული გადაწყვეტილებებით არავინ გამოირჩეოდა. ამიტომაც დე ხეა გამოვარჩიეთ, რომელმაც 1-2 კარგი ბურთი აიღო და მანჩესტერი უფრო დიდი ანგარიშით წაგებისგან იხსნა.

**ოლე-გუნარ სოლსკიაერი:**

– ვიცოდით, უბურთოდ ხშირად ყოფნა და თავდაცვა მოგვიწევდა და, როდესაც შანსი მოგვეცემოდა, დღალლლებით ვინენებოდით. ბარსელონამ გოლის გატანის იმედით მივემგზავრებით. მესის წინააღმდეგ იმდენად კარგად ვითამაშეთ, რამდენადაც შევძელით. შეხვედრა ნებისმიერი ანგარიშით შეიძლებოდა დასრულებულიყო. იმედგაცრუებული ვარ, რომ კარში ვერ დავარტყით ბურთი.

ჩვენ შესანიშნავ გუნდს ვეთამაშეთ. მაკტომინი ჩინებული იყო, განსაკუთრებით, პრესინგისას. ბრძოლებს იგებს, სწრაფია. რაღაც ცუდად დავიწყეთ მატჩი. გოლის შემდეგ ავთამაშდით. ჩვენი ნახევარმცველები ინდივიდუალურად ძალიან კარგად მოქმედებდნენ. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მოედანზე ნამდვილი მანჩესტერი იყო. მეტოქეს გაუმართლა, რომ გოლი რიკოშეტით გავიდა. ჯერ არაფერი დასრულებულა.

**ერნესტო ვალვერდე:**

– მანჩესტერში ძალიან ძნელია თამაში, ძნელია მომენტების შექმნა. ალაგ-ალაგ ვდომინირებდით, მეტი ხიფათი შევქმენით. ვიწვალეთ და მოვიგეთ. ხვალ უფრო ნათლად აღვიქვამთ, რასაც მივაღწიეთ. მოწინააღმდეგის შეცდომით ვისარგებლეთ და საწყისი 20 წუთი მის ნახევარზე გავატარეთ. მერე კი შემოგვიტიეს. ბურთს ჩვენ უფრო ვაკონტროლებდით.

ესპანეთის ჩემპიონატშიც მოვახდენ შემადგენლობაში ცვლილებებს. რთულია მთელი სეზონი მაღალ დონეზე ასპარეზობა. ორივე გუნდს თავისი სტილი აქვს და ორივე მეტოქისთვის მის თავს მოხვევას ცდილობდა. მესიმ ძლიერი დარტყმა მიიღო, ჰემატომა აქვს. ექიმები გასინჯავენ.

**აიაქსი-იუვენტუსი 1:1**

**<u>ამსტერდამი. იოჰან კრუიფი</u>**

**<u>0:1 რონალდო (45), 1:1 ნერეში (46)</u>**

**აიაქსი:** ონანა, დე ლიგტი, ტალიაფიკო, ველტმანი, ბლინდი, ვან დე ბეკი, ზიეჩი, ტადიჩი, შონე (ეკელენკამპი 76), ნერეში, დე იონგი

**იუვენტუსი:** შესნი, რუგანი, ალეკს სანდრო, კანსელუ, ბონუჩი, ბენტანკური, პიანიჩი, მატიუიდი (დიბალა 76), ბერნარდესკი (ჰედირა 90), რონალდო, მანჯუკიჩი (დ.კოშტა 60)

მატჩის წინ ფავორიტად იუვენტუსი ითვლებოდა. ცხადია, მთავარი ფაქტორი გამოცდილება და ლიდერების ოსტატობა იყო. აიაქსს ჯერ ისევ არ აფასებენ და მეოთხედფინალის ნათელ, ხალისიან და მხიარულ სტუმრად თვლიან. თითქოს, ჩემპიონთა ლიგის ეს რაუნდიც ჰოლანდიელთათვის ზედმეტი იყო.

როგორც აღმოჩნდა, მართალი ორივე მხარე იყო: იუვენტუსმა ოსტატობის ხარჯზე მოახერხა გოლის გატანა და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

# ზიეჩზე ნადირობა გაჩაღდა

ამსტერდამის აიაქსის ნახევარმცველმა ჰაკიმ ზიეჩმა, შესაძლოა, კარიერა გერმანიის ჩემპიონატში განაგრძოს. ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა გერმანული მედია ავრცელებს. როგორც ირკვევა, 26 წლის ფეხბურთელის გადაბირებით ერთდროულად ბუნდესლიგის 2 გუნდია დაინტერესებული – დორტმუნდი და ბაიერნი.



დორტმუნდელებმა უკვე გამართეს მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი. კომუნიკაცია შედგა ბაიერნისა და აიაქსის ხელმძღვანელობებს შორისაც, თუმცა კონკრეტული სატრანსფერო თანხა ბავარიელებს არ დაუსახელებიათ.

გარდა ზემოხსენებული კლუბებისა, ახალგაზრდა ფეხბურთელის მიმართ დაინტერესებას იჩენენ მადრიდის რეალი, ლონდონის ჩელსი და არსენალი, რომა, ევერტონი და ლესტერი. ვარაუდობენ, რომ სატრანსფერო ღირებულება 35-50 მილიონი ევროს ფარგლებში იქნება მოქცეული.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონში ზიეჩმა ერედივიზიის 24 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 15 გოლი გაიტანა, თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი და აიაქსის თამაში ჩემპიონთა ლიგაში.

# ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲬᲘᲠᲐ



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ უესტფილდში გარდაიცვალა სკოლის დირექტორი, რომელმაც საკუთარი ღეროვანი უჯრედები ფრანგი ბავშვის გადასარჩენად გაიღო.

გასული წლის ოქტომბერში 44 წლის დერიკ ნელსონს, უესტფილდის სკოლის დირექტორს, ექიმები დაუკავშირდნენ. მათ აცნობეს, რომ სისხლი, რომელსაც ის კოლეჯში სწავლის დროს აბარებდა, ფრანგი ბავშვისთვის შესაფერისი აღმოჩნდა. ნელსონს შეეძლო, ღეროვანი უჯრედების დონორი გამხდარიყო და ბავშვის სიცოცხლე გადაერჩინა.

ამაზე სკოლის დირექტორმა თანხმობა განაცხადა. თავდაპირველად სპეციალისტები ღეროვანი უჯრედების მიღებას ძვლის ტვინის გადანერგვით გეგმავდნენ. ამაში მათ ხელი შეუშალა აპნოზმა ძილში, რომელიც ნელსონს ჯარში სამსახურის შემდეგ აწუხებდა. მას შეეძლო, საერთო ნარკოზის დროს სუნთქვის შეწყვეტა გამოეწვია. შიდა ვენური მეთოდის გამოყენებას კი უნაყოფო უჯრედების ანემია არ იძლეოდა. საბოლოოდ ოპერაციის გაკეთება ადგილობრივი გაუტკივარებით გადაწყდა.

ოპერაციის შემდეგ გაუთვალისწინებელი გართულებები წარმოიშვა.

– ის ვერ ლაპარაკობდა, საწოლზე მდუმარედ იწვა, – ამბობს ნელსონის 81 წლის მამა, – თვალები გახელილი ჰქონდა და ხვდებოდა, თუ ვინ ვიყავით, თუმცა ვერც ინძრეოდა. მას შემდეგ ხმა აღარც ამოუღია. ერთთვიანი კომის შემდეგ მამაკაცი გარდაიცვალა. მომხდარის მიზეზები ჯერჯერობით დაუდგენელია.

# ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲒᲔᲓᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ



შვედეთის ქალაქ მალმეში პროფესიონალმა მონადირეებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა გედი, რომელიც ერთ-ერთ არხში ბინადრობდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფრინველს რამდენიმე კვირის შემდეგ ბარტყები უნდა გამოეჩეკა.

ქალაქის ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილება გედის აგრესიულობით ახსნა. გადაწყვეტილების მიღებაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა ფრინველის რამდენიმე ბავშვზე თავდასხმა, რომლებიც უნებურად მის ბუდეს მიუახლოვდნენ. რამდენიმე შეშინებული ბავშვი შედეგად წყალში ჩავარდა. ამ შემთხვევიდან გარკვეული დროის შემდეგ გედი ხელისუფლების გადაწყვეტილებით მოკლეს. ფრინველს ერთდროულად ორმა პროფესიონალმა მონადირემ ესროლა, რათა დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ ის მაშინვე მოკვდებოდა და არ იწვალებდა.

ქალაქის მცხოვრებლების უმრავლესობის რეაგირება გედის მოკვლაზე უარყოფითი იყო. მარტინა ანდერსონმა მომხდარს უკიდურესად სამწუხარო უწოდა.

– ის ამ რაიონის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა, გედი, უბრალოდ, თავის ბუდეს იცავდა, თუმცა არავინ დაუშავებია, – განაცხადა ანდერსონმა.

– კარგად მესმის, რომ ხალხი გულდაწყვეტილია. არც მე მახარებს ეს ყოველივე. მე, ჩვეულებრივ, ბუნებას ვიცავ და ცხოველებს არ ვხოცავ, – განაცხადა ოლა ენკვისტმა, რომელიც ქალაქის ხელისუფლებამ ფრინველის ლიკვიდაციისთვის დაიქირავა.

# ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲭᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲡᲮᲚᲢᲐ ᲓᲐ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲐᲒᲓᲝ

ამერიკის მონტანის შტატის მცხოვრებმა დათვ გრიზლის თავდასხმა გადაიტანა. ამ ინფორმაციას ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.



17 წლის ყმაწვილი ტყეში ირმის რქებს ეძებდა, როდესაც აგრესიულ დათვს გადააწყდა. მტაცებელმა მოზარდი ხეზე მიაგდო და რამდენიმე წამი ხეზე აკრულს აკავებდა. ერთ მომენტში მან ზეწოლა შეასუსტა და ბიჭმაც ცადა, ცხოველს ხოხვით გასცლოდა, თუმცა ამჯერად გრიზლიმ ის მიწაზე გააკრა.

ახალგაზრდას ზურგჩანთა ეკეთა, რომელშიც გაზის ბალონი იდო. მან მისი ზურგჩანთიდან ამოღება და მტაცებლისთვის შესხურება მოახერხა. ამან დათვი გააქცია. ყმაწვილი მაშინვე რადიოკავშირით ოჯახის წევრებს დაუკავშირდა. ის მსუბუქი დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს და მალევე გამოწერეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ᲥᲐᲚᲘ ᲐᲡᲮᲚᲔᲢᲘᲚ ᲜᲐᲯᲐᲮᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ

ამერიკის არიზონის შტატში ქალის მიერ ნატყორცნი და ასხლეტილი ნაჯახი მასვე დაუბრუნდა, მაგრამ მან ბოლო წამს მოახერხა მისი აცილება. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლის კადრებში ჩანს, რომ ეინსლი რეი ერთ-ერთ ბარში სამიზნეს ესვრის ნაჯახს, მაგრამ აცილებს, ხოლო კედლიდან ასხლეტილი ნაჯახი მისი თავისკენ მოფრინავს. ქალმა დროულად მოასწრო რეაგირება, დაიხარა და ნაჯახმა თავს ზევით გადაუქროლა.

– თავიდან ვერც კი მივხვდი, რა მოხდა, მაგრამ შემდეგ ვიდეოჩანაწერი ვნახე და საკუთარ თავზე მეცინებოდა. ღმერთო, რა კარგია, რომ ნაჯახი თავში არ მომხვდა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ქალმა.




# ᲑᲐᲠᲡᲐᲛ ᲓᲐ ᲘᲣᲕᲔᲛ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲚᲔᲡ

**დასაწყისი მე-9 გვერდზე**

და მატჩის ფრედ დამთავრება, ხოლო აიაქსი სულაც არ არის სტუმარი მეოთხედფინალში და არ „წაქცეულა“ მეტოქის ოსტატობის წინააღმდეგ.

პირიქით, აიაქსმა მეტი აზარტი აჩვენა, ვიდრე ეს რეალთან მოახერხა. ფაქტია, ეს გუნდი იზრდება. ამსტერდამელები უფრო მიზანმიმართულნი იყვნენ მეტოქის კარზე, მაგრამ ისევ და ისევ მომენტების რეალიზაციამ დალუპა. მხოლოდ დავიდ ნერეშმა მოახერხა სჩესნის კარის აღება, თუმცა, მანამდე რონალდუმაც გაიტანა.

აიაქსმა ვერც რეალთან მოახერხა საშინაო მატჩის მოგება, მაგრამ მადრიდში რაც მოხდა, ბევრს ახსოვს. თუმცა, რამდენად შეძლებს საპასუხო მატჩში ისეთივე გმირობის ჩადენას, როგორც ეს მერვედფინალში მოახერხა, ამას პასუხს ტურინული მატჩი გასცემს.




**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — დავიდ ნერეში

აქ ნერეშის აქტივში მხოლოდ გატანილი გოლი არ უნდა ჩავთვალოთ. აიაქსის მარცხენა გარემარბი კარგად მოქმედებდა გუნდის შეტევების დროს, რომელიც ძალიან სწრაფი და კომბინაციური იყო. ნერეშმა რამდენიმე ხიფათი შექმნა მეტოქის კართან, ხოლო თავის მეურვე კანსელოს „სისხლი გაუშრო“.

**ერიკ ტენ ჰაგი:**

– უნდა ვაღიარო, სახლში 1:1 კარგი შედეგი არაა, რომლის იმედი შეიძლება გქონდეს, მაგრამ მაინც კარგი შედეგია. რეალთან შინ 1:2 წავაგეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით. ასე რომ, ყველაფერია შესაძლებელი.

დროის უმეტესი ნაწილი ვდომინირებდით, ბურთს მშვიდად ვაკონტროლებდით და რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა. ზიეჩი რამდენიმეჯერ საჯარიმოში კარგ პოზიციაზე იყო. ასეთ დროს უნდა დაარტყა. იუვენტუსს სწრაფი კონტრშეტევები ეხერხება. ბურთს როგორც ვკარგავდით, სახიფათოდ გვიტევდნენ. ასე გავუშვით გოლი. შესვენებაზე ბიჭებს მოწინააღმდეგეზე ზეწოლის გაძლიერება დავავალე, რაც მათ შეცდომებს გამოიწვევდა. ამან იმუშავა.

**მასიმილიანო ალეგრი:**

– დარწმუნებული ვიყავი, რომ რუგანი კარგად ითამაშებდა, რადგან იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. ძალიან თავისებურად მოქმედებს, მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი აქვს დასახვეწი. არა მგონია, რომ გატანილი გოლის შემდეგ მოვეშვით, თუმცა საპასუხო გოლი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გავუშვით. ცოტა დავიბენით, მეტოქე კი დადებითად დაიმუხტა.

ამ შეხვედრაში უფრო ტექნიკური მოთამაშეები დავაყენე შემადგენლობაში, ვინაიდან პრესინგის ტექნიკურად უნაკლოდ შესრულება გვჭირდებოდა. აუცილებელი იყო იერიშების მოგერიება, მეტადრე, დე იონგის ნეიტრალიზება. სწორედ მისგან იწყება აიაქსის შეტევები. რონალდომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სულ სხვა დონის ფეხბურთელია, მოძრაობითა და საგოლე ალღოთი სხვებისგან გამორჩეულია.

## ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

### 12 აპრილისთვის



**ვერძი** – შემოქმედებითი კუთხით გიმართლებთ. შთაგონება გეწვევათ. ახალ პარტნიორთან ურთიერთობა ნაყოფიერია. **კურო** – მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენეთ. დაისვენეთ ბუნებაში უახლოეს ადამიანებთან ერთად. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი არაკეთილსაიმედოა ფინანსური ოპერაციების თვალსაზრისით. დიდია მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – მეგობრებთან შეხვედრა სამომავლოდ გადადეთ. ნუ ეცდებით თქვენი უპირატესობის წარმოჩენას. **ლომი** – დაწყებული საქმე დაამთავრეთ. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობისას გაუგებრობა იჩენს თავს. **ქალწული** – ყოველგვარი ნეგატიური აზრი უკუაგდეთ. იაზროვნეთ პოზიტიურად. **სასწორი** – საოჯახო საქმეების მოწესრიგება არ დააყოვნოთ. ემოციების აყოლა არას გარგებთ. **ღრიანკალი** – გაერთეთ, დაისვენეთ, მხოლოდ სასიამოვნო საქმით დაკავდით. **მშვილდოსანი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ აზრს პატივი ეცით. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **თხის რქა** – ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ იტვირთავთ. ხალხმრავლობას ერიდეთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. მცირე ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა ძალზე სასარგებლოა. მოვლენებს ნუ გააზვიადებთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. მიზანს იოლად მიაღწევთ. განსაკუთრებით უმართლებთ საჯარო მოხელეებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. ოპერა „ფალსტაფის“ მუსიკის ავტორი; 3. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. შავი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 12. სხვადასხვა ნაწილისგან შეკოწიწებული რამე; 14. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 15. ქონება, რომელსაც ატანენ საპატარძლოს გათხოვებისას; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. მუზეუმი მადრიდში.

**თარაზულად**: 5. ქართული ლუდი; 6. ქართველი მოდელიორი ქალი; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ქიმიური ელემენტი, აირი; 11. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. გულში ნადები სევდა, ნაღველი; 19. ოსური ცეკვა; 21. აშშ-ის პრეზიდენტი; 22. ძველბერძენი დრამატურგი, ტრაგედია „მედეას“ ავტორი; 23. საზეიმო წვეულება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა**

**შვეულად**: 1. გლაქსო; 2. ვალიზა; 3. ნორმა; 5. ორლი; 6. ტეხური; 8. ორფოლო; 11. ალპინიადა; 13. ჩაპლინი; 14. დუბლინი; 15. ჰიმალაი; 19. ტიბო.

**თარაზულად**: 1. გლინტვეინი; 4. ვიკონტი; 7. ამსტელი; 9. მატროსი; 10. ფანზა; 12. ტრომბონი; 16. ჩოქბჯენი; 17. ოპუნცია; 18. ალტრუისტი; 20. დესპანი; 21. ჯილა; 22. ოქსფორდი.

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ**

**შვეულად**: 1. ყელი; 2. აია; 3. ჰამილტონი; 4. ვალიო; 5. ჰარიერი; 8. ბორი; 9. ბეთანია; 10. საფიჩხია; 12. სლენგი; 13. ალიბი; 15. ულისე.

**თარაზულად**: 1. ყეენობა; 6. დაბახანა; 7. ლობიო; 10. სპიჩი; 11. ფრაჟე; 13. ასაჰი; 14. კრუპი; 16. ნომი; 17. იამაიკა; 18. ორტეგა.

# ზვიად ბოლქვაძე ამერიკაში დააჯილდოვეს






კომპოზიტორი და აფხაზეთის კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე ამერიკაში დააჯილდოვეს.

ხელოვანმა ჯილდო ფესტივალის „ქართველები ამერიკაში“ ფარგლებში მიიღო, რომელიც ნიუ იორკში წლების განმავლობაში ტარდება. ფესტივალის დამფუძნებლები აჯილდოებენ ყველას, ვინც ქართული კულტურის პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. გამორჩეულთა შორის მოხვდა ზვიად ბოლქვაძეც, რომელიც თავისი შემოქმედებითა და პროფესიონალიზმით ქართულ კულტურას დიდ პოპულარიზაციას უწევს.

# ასმათ ტყაბლაძე საზოგადოებრივ მაუწყებელს საყვედურობს

მსახიობი ასმათ ტყაბლაძე საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ქართველი კინორეჟისორის გია დანელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით საყვედურობს:

– საყვედური მინდა გამოვაცხადო საზოგადოებრივი არხის მიმართ. გარდაიცვალა გენიალური რეჟისორი, გულით, სულით, ჯიშითა და ჯილაგით ქართველი და ერთი გადაცემის ღირსი არ გახადეთ ქართველი ერი.



ვინც ვიცით და ვინც პატივს ვცემთ ყველაფერს დიადსა და ქართულს, ჩვენც ვიხდით ბიუჯეტში თქვენთვის და ჩვენც უნდა გვცეთ პატივი. სამარცხვინო ამბავია, გაჯობეს რუსმა ერმა, რუსმა ხელოვანებმა.

იქნებ არც ის იცით, რომ დიდი ვერიკო ანჯაფარიძის დისშვილი იყო.

# გიორგი კეკელიძე: „წელს ასზე მეტ სოფელში ჩავიტანთ წიგნებს!“

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე წიგნის მოყვარულებისთვის სასიამოვნო ამბავს ავრცელებს და აცხადებს, რომ წელს ასზე მეტ სოფელში ჩაიტანს წიგნებს:

– ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი: გალფი ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმის მხარდაჭერას აგრძელებს და წელს ასზე მეტ სოფელში ჩავიტანთ წიგნებს.




ამ შაბათ-კვირას უკვე სამეგრელოში მივდივართ, 23 აპრილს კი უკვე ძალიან პოპულარული კამპანიის „აჩუქე წიგნის“ ფარგლებში მაღალმთიანი აჭარისკენ წიგნებით დატვირთული რამდენიმე მინი-ბუსი გავა.

წიგნის ჩუქების დღეს თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკებიც შემოუერთდნენ და მერიასთან ერთად სოფელ ვეჯინის დარბეულ ბიბლიოთეკას აღადგენენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მამაკაცი, რომელმაც სხვისი სადილის ფული გადაიხადა, მოკლეს

ამერიკის ფლორიდის შტატში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც ეჭვმიტანილია იმ ადამიანის მკვლელობაში, რომელმაც რესტორანში სხვისი სადილის ფული გადაიხადა.

ქალაქ გეინსვილის ერთ-ერთ რესტორანში 41 წლის კრეიგ ბრიუერმა დაწესებულების რამდენიმე სტუმარს სადილის ფული გადაუხადა და მათ 20- დოლარიანები დაურიგა. ეს 25 წლის იეზეკილ ჰიკსის მეგობარმა გოგონამ შენიშნა და ეწყინა, რომ საკუთარი სადილის ფული მათივე გადასახდელი გახდა.

ჰიკსმა ბრიუერთან კამათი დაიწყო, რამდენიმე წუთის შემდეგ კი გარეთ გამოვარდა, პისტოლეტი აიღო, რესტორანში დაბრუნდა და მამაკაცს თავში ესროლა.

პოლიციელები უკვე რესტორნისკენ მიემართებოდნენ, როდესაც ჰიკსმა ბრიუერს ესროლა.



– სიტყვიერი შეკამათება რამდენიმე წუთში მკვლელობით დასრულდა, – აღნიშნა პოლიციის ლეიტენანტმა ბრეტ როუდნაიზერმა. მან ასევე დაამატა, რომ დანაშაული სათვალთვალო კამერებმა გადაიღო. ჩანაწერი, როგორც დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი, უკვე ამოღებულია. ჰიკსი ადგილზევე დააპატიმრეს. მას პირველი ხარისხის მკვლელობის ბრალდება აქვს წაყენებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ელენე ახვლედიანის შთამომავალი გია ახვლედიანი უბედური შემთხვევის მსხვერპლია

ელენე ახვლედიანის ძმისშვილიშვილი, მხატვარი გია ახვლედიანი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მისმა კოლეგამ იური ბერიშვილმა გაავრცელა:

– გია ახვლედიანი – ელიჩკა ახვლედიანის ძმისშვილიშვილი, ჩვენი კოლეგა და მეგობარი, დაიმტვრა თბილისის ქუჩაში, ვაკის პარკთან, როდესაც სახლში ბრუნდებოდა, ბედზე გადარჩა:

ველოსიპედით შეასკდა ვაკის პარკის წინ ავტობუსების გაჩერებასთან მოედნის და ტროტუარის გამყოფ, უნიჭოდ და ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე დამონტაჟებულ თითქმის უხილავ ბორდიურს, რომელსაც არ აქვს არანაირი შემორკალვა თვალშისაცემი საღებავით და არ განსხვავდება ასფალტის ფერისგან, ფაქტობრივად, ეს არის ადამისიცოცხლის მოსპობის საუკეთესო საშუალება, რაც შეიძლება სავალალოდ დამთავრდეს ადამიანისთვის და რაც, სამწუხაროდ, მოხდა გიას შემთხვევაში!

მანამდე ბავშვი, რომელიც ველოსიპედით მოძრაობდა იმავე ადგილზე, ანალოგიურად გადაიჩეხა და მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ თავზე ეკეთა შლემი. გიას პირის ღრუ, ყბები, ყვრიმალის ორივე ძვალი, ცხვირი და კბილები, ჩალეწილი აქვს! მიღებული აქვს მძიმე ტვინის შერყევა, აგრეთვე თვალის ბადურის შერყევაც, რის გამოც მხედველობის პრობლემა გაუჩნდა, ხელებს ვერ ამოძრავებს ნორმალურად, სულ დაბუჟებული აქვს, ანუ მიღებული აქვს ნევროლოგიური ტრავმაც.

ეს მხატვარი ახლა დახეიბრებულია, ფაქტობ-



რივად, ბედზეა გადარჩენილი დაღუპვას და მას განმეორებითი ყბა-სახის ქირურგიული ოპერაცია უნდა გაუკეთდეს, რომ საჭმლის მიღება მაინც აღიდგინოს. ახლა იკვებება მხოლოდ ბლენდერის საშუალებით გადამუშავებული საკვებით.

მას აუცილებლად სჭირდება მეორე ოპერაცია, ქვედა ყბაში ხელოვნური ძვლის ფრაგმენტის იმპლანტაცია. ფაქტობრივად, ის პირს ვერ ხმარობს ამის გამო და ჯერჯერობით დახეიბრებულია. ტრავმის გამო ის ვერ ახერხებს თავის სამუშაოზე დაბრუნებას და გიდის მოვალეობის შესრულებას ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რაც ავტომატურად უმუშევრად ტოვებს მხატვარს და აკარგვინებს იმ მწირ ლუკმაპურს, რომლითაც არჩენდა მანამდე თავის ოჯახსა და პატარა შვილს.

გთხოვთ, ვისაც შეგვიძლია, რეალურად დავეხმაროთ ჩვენს ძველ მეგობარს.??

**პ.ს.** გია ახვლედიანის დასახმარებლად საქართველოს ბანკში სპეციალური ანგარიშის ნომერია გახსნილი.

# ეკა მამალაძემ კლიპი გადაიღო



მომღერალმა ეკა მამალაძემ სიმღერაზე „ბედის ვარსკვლავო“ კლიპი გადაიღო.

ვიდეორგოლის რეჟისორი მარგო ზუბაშვილია. კლიპის სიუჟეტი პატარა ფილმს ჰგავს, სადაც მომღერალი მთავარ როლშია.

ეკა მამალაძეს თავისი ერთგული მსმენელი ნამდვილად არ ჰყავს განებივრებული ვიდეოკლიპებით. ძირითადად მისი სიმღერების საკონცერტო ჩანაწერების ვერსიები არსებობს, ამიტომ მან თავისი მრავალფეროვანი რეპერტუარიდან სიმღერა „ბედის ვარსკვლავო“ შეარჩია და მსმენელს ვიდეორგოლის თანხლებით წარუდგინა.

კლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა, რომელსაც ბევრი გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

# ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „საყურე“ 180 წლისაა



რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „საყურე“ 180 წლისაა:

ლექსის შექმნის საკმაოდ საინტერესო ისტორია ხელოვნებათმცოდნე ნოდარ პაპუაშვილმა გაიხსენა:

– 1839 წლის გაზაფხულზე ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი, ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი, სამარაგდონ ორბელიანის ასულ ბარბარეზე დაქორწინდა. ეს კავშირი ჯერ დიდი წვეულებით, რომელიც ბარბარეს დედამ ელისაბედმა გამართა, და მერე ქორწილით აღინიშნა. სწორედ ამ წვეულებაზე მყოფი ეკატერინე ჭავჭავაძე გამხდარა მიზეზი შედევრ „საყურის“ შექმნისა.

იონა მეუნარგია: „ბარათაშვილი თურმე იყო მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან წვეულებაზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცა დაუხვდა ლევან მელიქიშვილი.

– ლევან, ლევან! გავგიჟდი, მეტი აღარა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურის თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“.'

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მამაკაცი ნაგვიდან ამოღებულმა ლატარიის ბილეთმა გაამდიდრა




აშშ-ში მცხოვრებმა მამაკაცმა ნაგვის ურნიდან ამოიღო ადრე გადაგდებული ლატარიის ბილეთი და ჯეკპოტი მოხსნა.

მიჩიგანის შტატის ქალაქ ჰარისონის მკვიდრმა ჯეფ ჰაინიგმა აღიარა, რომ ნაყიდი ბილეთი წამგებიანად ჩათვალა.

– ის მე გასულ ოთხშაბათს ვიყიდე. ხუთშაბათს დილით გათამაშების შედეგები ვნახე, – იხსენებს მამაკაცი, – ერთი რიცხვიც კი არ დაემთხვა და გადავაგდე.

მეორე დღეს ჰაინინგი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, რადგან გათამაშების შედეგები მეტისმეტად ადრე შეამოწმა. მამაკაცი ინტერნეტში გათამაშების გვერდზე შევიდა და ამოსული რიცხვების კომბინაცია ნახა.

– ეკრანზე სწორედ ის რიცხვები ეწერა, რომლებსაც მე ჩვეულებრივ ვირჩევ, – განმარტა მამაკაცმა. ამის შემდეგ მან ნაგვის ურნა ამოქექა და გადაგდებული ლატარიის ბილეთი იპოვა.

ასე რომ, იღბლიანი მამაკაცი ამიერიდან სიცოცხლის ბოლომდე ყოველ წელს 25 ათას დოლარს მიიღებს.

ლატარიის გამარჯვებულის მეუღლე ვენდი ჰაინინგმა განაცხადა, რომ ეს მოგება მეტად დროული იყო მათთვის.

– წლის დასაწყისში ჯეფს გულის შეტევა დაემართა. შეიძლება ითქვას, რომ სამჯერ მოკვდა, სანამ გადაარჩენდნენ, – განაცხადა ქალმა, – ბედნიერი ვარ, რომ ის ისევ ჩვენთანაა. ახლა უკვე შევძლებთ, გავიხაროთ და საკუთარ თავს იმის უფლება მივცეთ, რასაც ადრე ვერ ვახერხებდით.

# კამეჩების ჯოგმა ბებერი თანამოძმე ლომებისა და ნიანგებისგან დაიცვა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ლომებისა და ნიანგებისგან კამეჩის გადარჩენის თვითმხილველები გახდნენ. მათ მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე პარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ლომი ბებერ კამეჩს წყალსატევის მახლობლად ჩაუსაფრდა, მაგრამ მსხვერპლმა გაქცევა და წყალში შესვლა მოასწრო. თუმცა იქ მას უკვე სხვა საფრთხე ელოდა ნიანგების სახით. კამეჩმა რეპტილიების თავდასხმის მოგერიება შეძლო და ისევ ნაპირისკენ გაცურა. იმ დროისთვის კი ნაპირზე მას უკვე ლომების მთელი პრაიდი ელოდებოდა.

ლომებისა და კამეჩის დაპირისპირება რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. კამეჩი ხედავდა, რომ მტაცებლები წინიდან თავდასხმას გაურბოდნენ და ამიტომ ცდილობდა, ზურგის მხარის დასაცავად ხან წყალი და ხანაც ბუჩქები გამოეყენებინა. ის უტევდა იმ ლომებს, რომლებიც მიახლოებას ბედავდნენ.



საბოლოოდ კამეჩს დასარწყულებლად მისული მისი თანამოძმენი დაეხმარნენ. ერთობლივი ძალით მათ მტაცებლებს შეუტიეს და გაყარეს.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 აპრილისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6912

ევრო — 3.0346

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5206

100 რუსული რუბლი — 4.1622

**ამინდის პროგნოზი 12 აპრილისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**9 აპრილიდან**

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

**მაუგლის ამბები**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**







**12 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

**19 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**







**3 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




**29 მარტიდან**




ოტია იოსელიანი

**ქალი გამოვიდა სალალატოდ**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## იუმორი

ექიმი ავადმყოფს ეკითხება:

– აბა, ახლა რამდენი თითია?

– იცით რა, პროსტატის გასინჯვა ასე თუ ხდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი.

●●●

კაცი საავადმყოფოში ერთიანად დაბინტული წევს. პალატაში მეზობლად მწოლიარე ავადმყოფი ეკითხება:

– რა მოგივიდა?

– გასართობ პარკში ვიყავი. დავჯექი ატრაქციონზე „ამერიკული მთები“. სულ მაღლა რომ ავედით, შევნიშე დაფა წარწერით. მინდოდა წამეკითხა, მაგრამ წვრილი შრიფტი იყო და ვერ მოვახერხე. დამაინტერესა, რა ეწერა და განმეორებით დავჯექი, ისევ მაღლა რომ ავედით, ისევ ვერ შევძელი წარწერის წაკითხვა და მესამედაც დავჯექი. მაღლა ასული კი ფეხზე წამოვდექი, რომ უფრო ახლოდან წამეკითხა და...

– მერე, წაკითხვა მაინც თუ მოახერხე?

– კი... ეწერა: „ფეხზე არ წამოდგეთ!“

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გივი, სავსე არყის ბოთლი რომ იყო, ცარიელი რატომაა?

– ჭრილობა დავიმუშავე.

– რომელი ჭრილობა?

– სულიერი.

●●●

პატრულმა მანქანა გააჩერა. საჭესთან ქალი ზის.

– გვირაბში შუქი რატომ არ ჩართეთ?

– აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე, საიდან ინთება შუქი მაგ გვირაბში!

●●●

თანამშრომელი დირექტორს მიმართავს:

– ბატონო დირექტორო, რაღაც მინდა გკითხოთ.

– გისმენთ.

– ბატონო დირექტორო, ჩვენი ძვირფასი თანამშრომელი გივი გარდაიცვალა და შეიძლება, რომ მისი ადგილი მე დავიკავო?

– წინააღმდეგი არ ვარ, მხოლოდ მაგ საკითხზე დამკრძალავ ბიუროს შეუთანხმდით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კიმ კარდაშიანმა სურათები ვოგისთვის გადაიღო



რეალიტი შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიან-უესტმა მოდის ჟურნალ ვოგისთვის მარტომ პირველად გადაიღო ფოტოსურათები. ეს ინფორმაცია თავად ტელევარსკვლავმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

39 წლის ტელევარსკვლავი გამოცემის ამერიკული ვერსიის მაისის ნომრის პირველ გვერდზე მოხვდა. ფოტოზე ის ხორცისფერ ფონზე სველი თმით, ყავისფერ ნაქსოვ კაბასა და ლითონის მსხვილი რგოლებისგან შემდგარი ყელსაბამითაა აღბეჭდილი.

ფოტოს აღწერაში კარდაშიანმა განაცხადა, რომ ადრეული ბავშვობიდან ოცნებობდა ამ გადაღებაზე, თუმცა გარშემომყოფნი უმტკიცებდნენ, რომ მის ოცნებას ახდენა არ ეწერა. მან ასევე გაიხსენა, თუ როგორ გულდასმით ათვალიერებდა ბავშვობაში ვოგის გვერდებს და მადლობა გადაუხადა გამოცემის მთავარ რედაქტორ ანი ვენტურსა და გადამღებ ჯგუფს, ბოლოს კი მადლობა გადაუხადა მეუღლეს, რეპერ კანიე უესტს მის მიმართ რწმენისა და მხარდაჭერისთვის.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კრიშტიანუ რონალდუს ჭიქა ესროლეს

აიაქსი-იუვენტუსის შეხვედრისას კრიშტიანუ რონალდუს ერთ-ერთმა გულშემატკივარმა სითხით სავსე ჭიქა ესროლა. რონალდუს ჭიქა არ მოხვედრია, მაგრამ აიაქსს, სავარაუდოდ, მაინც დააჯარიმებენ.

ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც რონალდუმ გოლი გაიტანა და იუვენტუსი დააწინაურა.

საბოლოოდ აიაქსმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.




## ლორან ბლანი, შესაძლოა, სევილიის მწვრთნელი გახდეს



ფრანგი სპეციალისტი ლორან ბლანი, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ესპანურ სევილიას ჩაუდგეს სათავეში.

სევილიის ამჟამინდელი თავკაცი ხოაკინ კაპაროსი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს, რადგან მას ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

ბლანი წლების განმავლობაში პსჟ-ში მუშაობდა, მაგრამ მან ვერ შეძლო გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში წარმატებისთვის მიღწევა და 2016 წელს ის გაათავისუფლეს.

მას შემდეგ ბლანს არსად უმუშავია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 2. ელექტროობის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 4. ხრახნული კონვეიერი; 5. თავხედური გულახდილობა; 8. ემილ ზოლას რომანი; 9. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 12. საქართველოში გავრცელებული ძალზე მაგარმერქნიანი, წითელ წიგნში შეტანილი ფოთლოვანი ხე; 13. ფინეთის პარლამენტი; 15. უძველესი ისტორიული ქალაქი ჯავახეთში.

**თარაზულად**: 1. ქართული ტელეკომპანია; 6. თხევადი საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 7. იაპონური აბანო; 10. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 11. ალ.ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 13. ცეცხლგამძლე კარადა; 14. შავი, წვრილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 17. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 18. ქართველი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

